თქვენი უფლებები, ვალდებულებები და მოთხოვნები

როგორც ლტოლვილთა თავშესაფრის მაცხოვრებლის

Senate Department
for Integration, Labour
and Social Services

BERLIN

თქვენი უფლებები, ვალდებულებები და მოთხოვნები

როგორც ლტოლვილთა
თავშესაფრის მაცხოვრებლის

მისასალმებელი სიტყვა

სიბილ შულცი

ინტეგრაციის, შრომისა და სოციალური საკითხების სენატის ადმინისტრაციის ლტოლვილთა მენეჯმენტის საკოორდინაციო სამსახურის ხელმძღვანელი

პრესა SenIAS

როგორც ინტეგრაციის, შრომისა და სოციალური საკითხების სენატის ადმინისტრაციას (SenIAS) ჩვენ წითელი-წითელი-მწვანე მთავრობის შესახებ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის და მრავალფეროვნების შესახებ - მიუხედავად ეთნიკური კუთვნილებისა, რელიგიისა, კანის ფერისა, სექსუალური ორიენტაციისა და იდენტობის ან სქესისა და ასაკისა. გარდა ამისა, აღნიშნული მიზნით გაკეთდა კონკრეტული განცხადება, რომ გაუმჯობესებული იქნას ახალი-ბერლინელების, რომელთაც ლტოლვილობის ბეგ-რაუნდი აქვთ, ცხოვრებისა და ჩამოსვლის პირობები. როგორც ლტოლვილთა მენეჯმენტის საკოორდინაციო უწყება (KoordFM) ჩვენ 2017 წლიდან ვკურირებთ ხარისხისა და საჩივრების მენეჯმენტის პროცესს და ფოკუსს ვაკეთებთ თანამონაწილეობაზე.

ლტოლვილების, ინტეგრაციის ლოტების და ჩართული სამოქალაქო საზოგადოების, საკონსულტაციო უწყებების და ინიციატივების, საცხოვრისების აქტიური მონაწილეობით ლტოლვილთა საკითხების სამხარეო უწყებასთან (LAF), სპეციალურ ადმინისტრაციებთან და ლტოლვილთა საოლქო კოორდინატორთან ერთად თვალსაჩინო გახდა ყოველდღიური დაბრკოლებები, სტრუქტურული დეფიციტი და საერთო საცხოვრებლებში საჭიროებებზე მორგებულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ხარისხის მოთხოვნები.

მრავალი სადისკუსიო ფორმატის ფარგლებში შესაძლებელი გახდა აქტუალურ პრობლემებზე კონცენტრირება და კონკრეტული შედეგების მიღწევა, რის შედეგადაც, მაგალითად მოხერხდა LAF-თავშესაფრების შინაგანაწესის მრავალენოვანი, მცხოვრებთათვის მარტივად გასაგებ ენაზე წარმოდგენა. მნიშვნელოვან ქვაკუთხედს ასევე წარმოადგენდა ლტოლვილებისთვის და მხარდამჭერი პერსონალისათვის წლის დასაწყისში დამოუკიდებელი პრობლემების განმხილველი უწყების შექმნა, რომლის მეშვეობითაც თქვენ შეძლებდით წინამდებარე სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციების მიღებას.

ჩვენს ერთობლივ მიზანს წარმოადგენს ცხოვრება და ბინადრობა, რომელსაც თქვენ დამოუკიდებლად წარმართავთ. მომავალში ლტოლვილების მიღება თანამედროვე დასრულებული აპარტამენტების სტრუქტურაში, ე.წ. მოდულარული საცხოვრისები (MUF 2.0), და ბიუჯეტური საცხოვრისების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა ბერლინის ლტოლვილების ჩართულობისა და ინტეგრაციის ერთიანი კონცეფციის ნაწილს წარმოადგენს.

ჩვენთვის, როგორც კოორდინაციისა და ინტეგრაციის ადმინისტრაციისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თქვენ შესახებ გავიგოთ არა როგორც ახალი ბერლინელის შესახებ, არამედ გესაუბროთ პირისპირ და შევიტყოთ თქვენი პერსპექტივებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესახებ. ჩვენს ექსპერტებთან საუბრის ფარგლებში ჩვენ გავხდებით თქვენი ბიოგრაფიის ნაწილი, კრიტიკის და რჩევების მიმღები. მადლობას მოგახსენებთ ნდობისა და პოლიტიკასა და ადმინისტრირებაში შემდგომი მონაწილეობისათვის მზაობისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ყველა ბერლინელ აქტორს ლტოლვილებთან დაკავშირებული ჩართულობისათვის და ასევე ბერლინის ლტოლვილთა საბჭოს ვორკშოპ-ჯგუფს, განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე ლტოლვილების ბერლინის ქსელს, ადგილობრივ ორგანიზაციებს, ქსელებს, ლტოლვილთა

ინიციატივებს და ოლქების წარმომადგენლებს, რომელთაც აქტიურად ითანამშრომლეს წინამდებარე ბროშურის შედგენაში.

წინამდებარე ახალი სახელმძღვანელო მცხოვრებლებს უნდა დაეხმაროს მათი უფლებების გაცნობასა და გაცნობიერებაში, რაც უკავშირდება მიმღებ დაწესებულებებსა და საერთო საცხოვრისებში მათ განთავსებას.

ბერლინის სენატისათვის ცნობილია იმ სირთულეების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ამგვარ დაწესებულებებთან და აქედან გამომდინარე მიისწრაფვის, რომ ფაქტობრივი და სამართლებრივი შესაძლებლობების ფარგლებში შეამოკლოს ყოფნის ხანგრძლივობა და საშუალება მისცეს ბენეფიციარებს გადავიდნენ საკუთარი სარგებლობის ბინაში. მიუხედავად აღნიშნული ძალისხმევისა ამჟამად ჯერ კიდევ შეუძლებელია საერთო საცხოვრებელში განთავსებაზე უარის თქმა. აქედან გამომდინარე ინტეგრაციის და სოციალური საკითხების სენატის ადმინისტრაციის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რომ ამგვარ საცხოვრისებში დაცული იყოს მაცხოვრებელთა უფლებები. წინამდებარე საინფორმაციო ბუკლეტმა ყოველივე ამაში მნიშვნელოვანი დახმარება უნდა გაგიწიოთ.

გენდერის ვარსკვლავი* ემსახურება სქესის შესაბამის ენას და მან უნდა მოიცვას ყველა სქესი და სქესობრივი იდენტობა, მდედრობით და მამრობით, ასევე განსხვავებული სქესის ადამიანებს შორის.

KoordFM: ექსპერტებთან საუბარი, KoordFM-ის ხელმძღვანელი სიბილ შულცი 2019

KoordFM: ექსპერტების საუბარიntalk mit geლტოლვილ ადამიანებთან 2019

KoordFM: ექსპერტების გასაუბრება ლტოლვილ ქალებთან 2018

შესავალი

ძვირფასო მკითხველო,

ბერლინის ლტოლვილთა საკითხების სამხარეო უწყების ლტოლვილთა თავშესაფარში ცხოვრება თქვენ და ყველა სხვა მაცხოვრებელს დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს. მოცემულ სიტუაციაში მნიშვნელოვანია, რომ თქვენ იცოდეთ თქვენი უფლებებისა და ჩვენი თავშესაფრის წესების შესახებ. გარდა ამისა, თქვენ უნდა იცოდეთ, თუ რომელი ნორმები ვრცელდება საცხოვრისის მფლობელებზე და რა შედის საცხოვრებლის პერსონალისა და უსაფრთხოების უფლებამოსილებებში და რა არა. აღნიშნული ნორმები ძირითადად გამომდინარეობს LAF-თან დადებული ხელშეკრულებიდან, მათ შორის მომსახურების და ხარისხის (რომლის აქტუალიზებაც მუდმივად ხორციელდება) და შინაგანაწესის აღწერიდან.

წინამდებარე სახელმძღვანელო თქვენ მოგაწვდით ინფორმაციებს თქვენი, როგორც LAF-თავშესაფრის მცხოვრების შესახებ. სახელმძღვანელოს ბოლოს თქვენ იხილავთ მითითებებს უწყებების, საკონსულტაციო სამსახურების და იმ ინიციატივების შესახებ, რომელთაც შეგიძლიათ მიმართოთ, თუკი ფიქრობთ, რომ თქვენი უფლებები დაირღვა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თავისუფალ, დემოკრატიულ და სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოსა და მის ორგანოებს (როგორც მაგ. უწყებები ან პოლიცია, ასევე LAF) არ აქვთ უფლება მაცხოვრებლებს თვითნებურად მოეპყრას, არამედ მათ უნდა დაიცვან კანონი.

ამასთან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გერმანიის კონსტიტუციის პირველი 19 მუხლი, ეგრეთ წოდებული ძირითადი უფლებები. ძირითადი უფლებები გერმანიაში მცხოვრები ყველა ადამიანისთვის - მიუხედავად მათი წარმომავლობისა, სქესისა, მოქალაქეობისა და რელიგიისა - უზრუნველყოფს სახელმწიფოს ან მისი ორგანოების მიერ უფლებებში დაუშვებელი ჩარევისგან დაცვას და მათზე ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული თავშესაფრებში. ყველა უწყება მათი ქმედებებისას უნდა ხელმძღვანელობდეს ძირითადი უფლებებით და არ გააჩნია მათი დარღვევის უფლება - ისევე როგორც LAF-ს.

წინამდებარე პრინციპიდან „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მუხლი 11 და ბერლინის სამხარეო კონსტიტუციის მუხლი 28 კავშირში გამომდინარეობს, რომ ყველა ადამიანს აქვს შესაბამისი საცხოვრისის ქონის უფლება. აღნიშნული ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრინციპი დაცული უნდა იყოს ყოველთვის და ნებისმიერ დროს.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია უფლებამოსილება, რომ ზეგავლენა მოახდინოს ადამიანების თანაცხოვრებაზე და ამგვარად თავშესაფრებში ცხოვრებაზე. მოცემულ შემთხვევაში

შტეგლიც-ცელენდორფის ლტოლვილების მიღების კავშირი: შეხვედრის ადგილი

თქვენთვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში ყოფნის შესახებ კანონი, თავშესაფრის შესახებ კანონი და კანონი თავშესაფრის მაძიებლობის შესახებ.

წესები და ვალდებულებები, რომლებიც გაგიადვილებთ ცხოვრებას თავშესაფარში, წარმოდგენილია LAF-შინაგანაწესში: www.fluechtlingsrat-berlin.de/laf_hausordnung_dez2020/ შინაგანაწესი უნდა დაიცვას ყველა მაცხოვრებელმა, ასევე თავშესაფრის პერსონალმა.

LAF შესაბამის პარტნიორებთან დებს ხელშეკრულებებს მიმღები დაწესებულებების ექსპლოატაციისა და საერთო საცხოვრისების, ასევე საცხოვრისებში უსაფრთხოების მომსახურების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული კონსტიტუციაზე, ძირითად უფლებებზე და სხვა მოქმედ კანონებზე. თქვენთვის, როგორც ამგვარი საცხოვრისის მცხოვრებისათვის, მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ აღნიშნული ხელშეკრულებები ითვალისწინებს მცხოვრებთა კონკრეტულ მომსახურებებს და უფლებებს. წინამდებარე სახელმძღვანელოში განმარტებულია შეთანხმებული მინიმალური მოთხოვნები, მათ შორის საცხოვრებელის აღჭურვის და საცხოვრებლის პერსონალის ამოცანები და ის, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება LAF-ის სახელშეკრულებო პარტნიორებმა.

სახელმძღვანელო ინფორმაციას გაწვდით იმის შესახებ, თუ რა შედეგები აქვს ძირითად უფლებებს, კანონებსა და რეგულაციებს, როგორიცაა შინაგანაწესი და მომსახურების და ხარისხის აღწერა, საცხოვრებელში ცხოვრებაზე და რა უფლებები გაქვთ.

თქვენ ასევე უნდა იცოდეთ:

როდესაც წინამდებარე სახელმძღვანელოში მითითება კეთდება „უფლებებზე“, რომლებიც თქვენ როგორც LAF-ის მაცხოვრებელ ლტოლვილს გაგაჩნიათ, საქმე შეეხება კანონით რეგულირებულ მოთხოვნებს, რომლებთან დაკავშირებითაც შეგიძლიათ საჩივარი შეიტანოთ გერმანულ სასამართლოში (ძირითადი სამართლებრივი ნორმების ჩამონათვალი იხილეთ თავში 7). ზოგიერთი წარმოდგენილი უფლება კი შეეხება მომსახურებებს, რომლებიც ხელშეკრულებით შეთანხმებულია LAF-სა და საცხოვრისის მფლობელს შორის. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ უარს მიიღებთ ამგვარ მომსახურებაზე, თავდაპირველად კონფიდენციალურად უნდა მიმართოთ თქვენი თავშესაფრის ხელმძღვანელობას. აქედან არ უნდა იქნას წარმოშობილი რაიმე უარყოფითი შედეგები (სხვა ოთახში გადაყვანა ან მისთანა). თუკი თქვენ ეს არ გსურთ ან საცხოვრებლის ხელმძღვანელობასთან შეუძლებელი იყო საკითხის გადაჭრა, შეგიძლიათ მიმართოთ LAF-ს, ბერლინის დამოუკიდებელ საჩივრების უწყებას (BuBS) ან დამოუკიდებელ საკონსულტაციო უწყებას-მიმართეთ. ლტოლვილებს,

KoordFM: ექსპერტების საუბრებზე ლტოლვილებთან 2018

KoordFM: გამოფენა ლტოლვილ მოზარდებთან ერთად 2020

რომლებიც დასაქმების ცენტრიდან ან საოლქო უწყებიდან იღებენ მომსახურებებს, შეუძლიათ მიმართონ თქვენი საოლქო უწყების სოციალურ საბინაო უწყებას.

— LAF ლტოლვილთა საცხოვრისისადმი მოთხოვნები გასულ წლებში შესაბამისი კომპეტენციის უწყებების მიერ რეგულარულად ყალიბდებოდა. წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ინფორმაციები შეესაბამება 2021 წლის ზაფხულის მდგომარეობას. იმისდა მიხედვით, თუ როდის იქნა საცხოვრისი ექსპლოატაციაში მიღებული, შესაძლებელია ცალკეულ პუნქტებში აღინიშნებოდეს გადახრები. არსებობს საერთო საცხოვრისების სხვადასხვა ტიპები - ტიპი 1-დან 3-მდე, რომლებიც განსხვავდება მაგ. საამშენებლო თვალსაზრისით და/ან თავშესაფარში ხელშეწყობის შემოთავაზებების თვალსაზრისით.

ჰიგიენური წესები და საამშენებლო მინიმალური სტანდარტები ვრცელდება ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სამხარეო უწყების

(LaGeSo) მიერ უსახლკაროების სახელშეკრულებო თავშესაფრებისათვის (საერთო საცხოვრებლები, პანსიონები, აპარტამენტები) შედგენილ მოთხოვნებზე. LAF-ს ამაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. კითხვებისა და აღნიშნულ საცხოვრებლებში უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებული საჩივრების შემთხვევაში მიმართეთ შესაბამის საოლქო უწყებას ან დამოუკიდებელ საკონსულტაციო უწყებას.



BERLIN

Landesamt für Flüchtlingsangelegenheiten

Merkblatt zur Hausordnung

Der Betreiber ist dazu da, um das Zusammenleben in der Unterkunft zu organisieren und Ihnen zu helfen.
Er muss dafür sorgen, dass sich alle an die Regeln halten, die in der Hausordnung aufgeführt sind. Viele Maßnahmen dienen zum Schutz der Bewohnenden und regeln das gemeinsame Leben in der Unterkunft.
Der Sicherheitsdienst unterstützt den Betreiber dabei, die Beachtung der Hausordnung sicherzustellen.
Der Betreiber und der Sicherheitsdienst haben keinen Einfluss

- auf Ihren Asylantrag,
- wie viel Geld Sie vom Staat bekommen,
- ob Sie arbeiten dürfen,
- ob Sie eine Wohnung bekommen.

Die nachfolgende Übersicht informiert Sie über Ihre wesentlichen Rechte und Pflichten in der Unterkunft. Bitte lesen Sie zusätzlich die Hausordnung, die es in 15 Sprachen gibt, sorgfältig durch. Bei Fragen dazu können Sie sich jederzeit an das in der Unterkunft tätige Personal wenden.

Rechte

Alle respektieren und achten sich gegenseitig, egal wo sie herkommen, wie sie leben und woran sie glauben. Dies gilt für alle Menschen, die in der Unterkunft leben, arbeiten oder sie besuchen.
Die Privatsphäre soll geachtet werden.

1

Правила внутреннего распорядка

Hausordnung

— ლტოლვილებისათვის მიმღები დაწესებულებებისა (AE) და საერთო საცხოვრებლების პარალელურად ბერლინში უსახლკარო ადამიანებისათვის ასევე არსებობს სხვა თავშესაფარებიც (ეგრეთ წოდებული სახელშეკრულებო საცხოვრისები). ამგვარი საცხოვრისების მაცხოვრებლებზე პასუხისმგებელია არა LAF, არამედ საოლქო უწყებები (სოციალური ბინები/ გადაუდებელი ბინათსაჭიროების უწყებები). ძირითად უფლებებთან დაკავშირებული ზოგადი მითითებები ასევე აღნიშნულ საცხოვრისებზეც ვრცელდება. კანონით დადგენილ

შემდგომში სქემატურად წარმოდგენილი იქნება LAF-ის ქმედება საჭიროების შესაბამისი საცხოვრისით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით:

საცხოვრისის სამიზნე სურათი

1. ზოგადი მიზანი: დამოუკიდებელი ცხოვრება რეგულაციების მეშვეობით საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერით
საკუთარ ბინებზე შუამდგომლობა არ წარმოადგენს LAF-ის პასუხისმგებლობას. LAF-მა შესაძლებელია გაგიწიოთ მხარდაჭერა, მაგ. WfF კოოპერაციის ხელშეკრულების ფარგლებში.

2. მიზანი: საჭიროების შესაბამისი და უზრუნველყოფილი ხარისხის განთავსება



ქვემოთ მოცემული სურათი წარმოადგენს საერთო საცხოვრისის (GU) სხვადასხვა ტიპების მიმოხილვას მათი სივრცითი თავისებურებების გათვალისწინებით: GU 1 საცხოვრისებს აქვს კლასიკური საერთო საცხოვრებლის სტრუქტურა. GU 2 და GU 3 საცხოვრისებს აქვს ბინის სტრუქტურა და საკონსულტაციო და საერთო სარგებლობის ფართების მცირე რაოდენობა.



საცხოვრისის სხვადასხვა ტიპებს შორის სხვა განსხვავებები არსებობს ოთახების აღჭურვის და დასაქმებული პერსონალის თვალსაზრისით. აღნიშნულთან დაკავშირებით იხილეთ მიმოხილვა დანართში 1. თუკი გსურთ გაიგოთ, თუ რომელ ტიპს განეკუთვნება საცხოვრისი, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ, შეგიძლიათ ეს მოიკითხოთ საცხოვრისის ხელმძღვანელობასთან დან LAF-თან.

სარჩევი

1. LAF თავშესაფრებთან დაკავშირებული საკითხები ლტოლვილებისათვის 14
2. თავშესაფრის პერსონალის ამოცანები და მცხოვრებთა უფლებები 18
3. მინიმალური მოთხოვნები თავშესაფრის მიმართ 36
4. თქვენი უფლებები განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევებში 44
5. ქირა თავშესაფარში? 48
6. საჩივრის შეტანის შესაძლებლობა 50
7. მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძვლები 54
8. დანართები 56
9. შემოკლებების ასია 68

1.

LAF თავშესაფრებთან დაკავშირებული საკითხები ლტოლვილებისათვის

რატომ უნდა ვიცხოვრო თავდაპირველად მიმღებ დაწესებულებაში და არ შემიძლია პირდაპირ ბინაში შევსახლდე?

ლტოლვილი ადამიანების მიღება გერმანიაში რეგულირდება კანონით. მნიშვნელოვან კანონს წარმოადგენს კანონი თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს, რომ ადამიანები, რომლებიც გერმანიაში ეძიებენ თავშესაფარს, თავდაპირველად უნდა გაჩერდნენ ცენტრალურ მიმღებ დაწესებულებებში. აქ ისინი მიიღებენ საკვებს, ე.ი. საკვები მომზადებული იქნება საცხოვრისის მიერ ან ორგანიზებული იქნება კატერინგ-სერვისის მიერ (როგორც ამჟამად რეგულარულად ხორციელდება ბერლინში). ბერლინში თქვენ თავდაპირველად განთავსდებით ცენტრალურ მიმღებ დაწესებულებაში, ჩასვლის ცენტრში (AkuZ) და რამდენიმე დღეში მიიღებთ ადგილს დეცენტრალიზებულ მიმღებ დაწესებულებაში.

რამდენი ხანი ვარ ვალდებული, ვიცხოვრო მიმღებ დაწესებულებაში?

თუ როდის გადახვალთ საკვებისა და შეზღუდული ფულადი დახმარების გამცემი მიმღები დაწესებულებიდან საერთო საცხოვრისში, დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე, მაგ. რამდენი ხანი გრძელდება თავშესაფრის მაძიებლობის პროცესი, ხართ თუ არა მარტოხელა ან გყავთ თუ არა მცირეწლოვანი შვილი. მიმღებ დაწესებულებაში თქვენ უნდა იცხოვროთ მაქსიმუმ თავშესაფრის მაძიებლობის პროცესის დასრულებამდე, როგორც წესი, მაქს. 18 თვე, ბავშვებთან ერთან ექვსი თვე. 18 თვეზე მეტი ხანგრძლივობის ცხოვრების ვალდებულება შესაძლებელია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში. აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია LAF, ბერლინის ინტეგრაციის მიმღებ ცენტრში და BuBS-ში.

ასევე არსებობს მიზეზები, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიოს მიმღები დაწესებულებიდან დათხოვნა.

LAF: AKUZ

აღნიშნული საფუძვლები რეგულირებულია თავშესაფრის შესახებ კანონის §§ 48-50, ის ვრცელდება ყველა თავშესაფრის მაძიებელზე და შესაძლებელია სახეზე იყოს განსაკუთრებული დაცვის უფლების მქონე პირების შემთხვევაში („EU-მიღების დირექტივა“ მუხლი

21 - RL 2013/33/ EU - დასახელებული პირთა ჯგუფები: მცირეწლოვნები, უნარშეზღუდული ადამიანები, მოხუცები, ორსულები, მარტოხელები მცირეწლოვანი შვილებით, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლები, მძიმე ფიზიკური დაავადების მქონე ადამიანები, ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანები და ადამიანები რომლებმაც გადაიტანეს წამება, გაუპატიურება ან ფსიქიკური, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მძიმე ფორმები, მაგ. ქალის გენიტალიების ამოკვეთა, ასევე რელიგიური უმცირესობები და ლესბოსელები, ჰომოსექსუალები, ბი-, ტრანს- და ინტერსექსუალი ლტოლვილები, რომელთა შემთხვევაშიც მიმღებ დაწესებულებაში ყოფნა განსაკუთრებულ სიმძიმეს წარმოადგენს. ინდივიდუალური მძიმე

KoordFM: საუბარი ხარისხის მენეჯმენტთან დაკავშირებით ელკე ბრაიტენბახთან, ინტეგრაციის, შრომისა და სოციალური საკითხების სენატორი და ინტეგრაციის ლოტები 2019

შემთხვევების ან საცხოვრისში მუქარის შემთხვევებში შესაძლებელია მიმღები დაწესებულებიდან დათხოვნა. იმ ლტოლვილთათვისაც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გამო, ვალდებულნი არიან 18 თვეზე მეტი იცხოვრონ მიმღებ დაწესებულებაში, გამოიყენება თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ კანონის §§ 48-50 გათვალისწინებული რეგულაციები. ეს ნიშნავს: იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული ინსტრუქციების თანახმად არსებობს მიმღები დაწესებულებიდან სწრაფი გაშვების საფუძველი, მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ აქვა, გეხებათ თუ არა 18 თვეზე მეტი ვადით ყოფნის გახანგრძლივება.

LAF რეგულარულად ამოწმებს, ადგილი აქვს თუ არა მიმღებ დაწესებულებაში ცხოვრების **ვალდებულების შეწყვეტის** წინაპირობებს. ბროშურა აღნიშნულთან დაკავშირებული ინფორმაციებით უნდა გადაეცეს ან დარიგდეს მიმღებ დაწესებულებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციების მიღება შეგიძლიათ LAF-ის სოციალურ სამსახურში ან ბერლინის ინტეგრაციის საკითხების მიმღებ ცენტრში. გარდა ამისა, LAF-ის მიერ მითითებები გამოქვეყნებული უნდა იქნას ინტერნეტში www.berlin.de/laf/wohnen/informationen-fuer-fluechtlinge/ თქვენ ასევე შეგიძლიათ თავად დააყენოთ განცხადება ცხოვრების ვალდებულებიდან გათავისუფლებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით უმჯობესია მიმართოთ საკონსულტაციო სამსახურს ან ადვოკატს.

როდის შემიძლია შევიდე ბინაში?

თუკი თქვენ თავშესაფრის მაძიებლის შესახებ კანონის თანახმად აღარ ხართ ვალდებული, რომ იცხოვროთ მიმღებ დაწესებულებაში, ამის შესახებ ინფორმაციას წერილობით მოგაწვდით LAF. ამის შემდეგ თქვენ უფლებამოსილი ხართ, დაარეგისტრიროთ საკუთარი ბინა. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ არ გაქვთ შემოსავალი და დახმარებას იღებთ LAF ან ბერლინის საოლქო უწყებიდან, შესაძლებელია დარეგისტრირებული იქნას მხოლოდ ბინები, რომლებიც არ აღემატება ქირის გარკვეულ ზედა ზღვარს. სანამ თქვენ არ იპოვით შესაბამის ბინას, თქვენ LAF-ის მიერ განთავსებული იქნებით საერთო საცხოვრებელში. აქ თქვენ შესაძლებლობა გექნებათ, თავად მოიმზადოთ საკვები.

ბერლინის საოლქო უწყებებში ბინის მაძიებელთათვის არსებობს საკონსულტაციო სამსახურები, რომლებმაც შესაძლებელია დახმარება გაგიწიონ ბინის ძიებაში, თუკი თქვენ არ გაქვთ მიმღებ დაწესებულებაში ყოფნის უფლება.

LfG-B: LAF თავშესაფარი

უკვე აღიარებული ვარ ლტოლვილად ანუ მივიღე სუბსიდიარული დაცვა. რატომ უნდა ვიცხოვრო მიუხედავად ამისა საერთო საცხოვრისში?

სამწუხაროდ ბერლინში ამჟამად მცირეა სათანადო ბინების რაოდენობა, რათა შესაძლებელი იყოს ყველა ბინის მაძიებლის სწრაფი ბინით უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, ბევრი ლტოლვილი თავშესაფრის მაძიებლობის პროცესის დასრულების შემდეგ ვერ პოულობს სათანადო ბინას. საოლქო უწყებას, რომლისგანაც იღებთ ფულად დახმარებას, შეუძლია LAF-ს მიმართოს თხოვნით, რომ განგათავსოთ საერთო საცხოვრისში, რათა არ დარჩეთ თავშესაფრის გარეშე. თუმცა თქვენ არ ხართ ვალდებული, რომ იცხოვროთ საერთო საცხოვრებელში. უსახლკარობის თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფოს ამოცანაა, LAF და ოლქებს თავშესაფრებში განთავსება დაუკმაყოფილოს.

რას უნდა მივაქციო ყურადღება, როდესაც ვცხოვრობ მიმღებ დაწესებულებაში ან საერთო საცხოვრისში?

LAF საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის ადამიანები ვიწრო არეალში და ისინი ვალდებულნი არიან საცხოვრისის ნაწილები, მაგ. სანიტარული სივრცეები და სამზარეულოები გაინაწილონ. იმისათვის, რომ აღნიშნული თანაცხოვრება ფუნქციონირებდეს კონფლიქტებისა და პრობლემების გარეშე, ყველა ადამიანმა, რომელიც თავშესაფარში ცხოვრობს და მუშაობს, უნდა დაიცვას გარკვეული წესები. აღნიშნული წესები განმარტებულია შინაგანაწესში, რომელიც თქვენ გადმოგეცემათ. მნიშვნელოვანია, რომ მშვიდად გაეცნოთ წინამდებარე **შინაგანაწესს**, ვინაიდან მასში მოიძიებთ არა მხოლოდ საკითხებს, რომლებსაც ყურადღება უნდა მიაქციოთ საცხოვრისში

KoordFM: ხარისხისა და საჩივრების მენეჯმენტის სპეციალიზებული სხდომა 2019

ყოფნისას, არამედ მასში მოცემულია **მნიშვნელოვანი ინფორმაციები უფლებებთან და შესაძლებლობებთან დაკავშირებით**.

იმ შემთხვევაში, თუკი გაქვთ შეკითხვები შინაგანაწესთან დაკავშირებით, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს მიმართოთ თავშესაფრის პერსონალს, LAF სოციალურ სამსახურს და BuBS-ს.

LAF: მოდულარული საცხოვრისი ლტოლვილებისათვის (MUF)

2.

თავშესაფრის პერსონალის ამოცანები და მცხოვრებთა უფლებები

2.1. რა არის და რა არ არის თავშესაფრის ხელმძღვანელობის, სოციალური მუშაკების და უსაფრთხოების თანამშრომლების ამოცანები?

თავშესაფრებში მუშაობენ ადამიანები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა ამოცანები, მაგ. თავშესაფრის ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელის მოადგილეობა, ადმინისტრაციის მუშაკები, სამეურნეო საკითხები, სოციალური სამსახური, საპატიო კოორდინაცია, უსაფრთხოება და ბავშვთა მეთვალყურეობა. პერსონალის რაოდენობა დამოკიდებულია თავშესაფრის ტიპზე და LAF-სა და მფლობელს შორის დადებულ შესაბამის ხელშეკრულებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალური მითითებები შეგიძლიათ იხილოთ დანართში 1.

თავშესაფრის ხელმძღვანელობა

თავშესაფრის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია იმაზე, რომ განხორციელებული იქნას LAF-თან დადებული ხელშეკრულებები. ის ორგანიზაციას უწევს თავშესაფარში თანაცხოვრებასა და პროცესებს და ზრუნავს მაგალითად იმაზე, რომ დაცული იქნას შინაგანაწესი და უზრუნველყოფილი იყოს ფოსტის ჩაბარება. შინაგანაწესის დარღვევისას შესაძლებელია თავშესაფრის ხელმძღვანელობამ გასცეს გაფრთხილებები ან - თუკი გაფრთხილება უშედეგოა - აკრძალვები. დახმარება დავების გადაწყვეტაში. მფლობელის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ყურადღება მიაქციოს იმას, რომ **დაცული იყოს მაცხოვრებლების ყველა უფლება** და უზრუნველყოფილი იქნას საცხოვრისში **ძალადობის, ქალებისა და ბავშვების დაცვა**.

სოციალური სამუშაო და ბავშვების მოვლა

სოციალური სამსახურის ვალდებულებაა, დახმარება გაგიწიოთ სოციალური კითხვებისა და პრობლემების შემთხვევაში. სოციალური მუშაკის საკონსულტაციო და მხარდაჭერის შემოთავაზების გამოყენება **ყოველთვის ნებაყოფლობითი და უფასოა**. ეს ეხება თავშესაფრის ადმინისტრაციის მიერ მხარდაჭერის ნებისმიერ ფორმას.

თავშესაფრებში შემოთავაზებული კონსულტაციის მოცულობა შესაძლებელია განსხვავებული იყოს, ვინაიდან ეს განპირობებულია შესაბამისი თავშესაფრის მაცხოვრებლების კონსულტაციის საჭიროების ინტენსივობიდან. აქედან გამომდინარე საერთო საცხოვრისები კონსულტაციის ინტენსივობის მიხედვით იყოფა სხვადასხვა ტიპებად (ტიპი 1, 2 ან 3 თავშესაფრები).

მიუხედავად ამისა, შესაძლებელია გარე საკონსულტაციო სამსახურისათვის მიმართვა, თუკი თქვენ საჭიროებთ მხარდაჭერას. ოლქების მიხედვით დანაწილებული საკონსულტაციო უწყებების სია შეგიშლიათ იხილოთ ინტერნეტში მისამართზე: www.berlin.de/fluechtlinge/berlin-engagiert-sich/berliner-initiativen/

სოციალური მუშაობის (დამოკიდებულია თავშესაფრის ტიპზე) ამოცანებია მაგალითად:

— დახმარება უწყებების წერილების გაგებაში

— სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული დამატებითი საჭიროებების საკითხებთან დაკავშირებული დახმარება, მაგ. ორსულობის, ავადმყოფობის ან ფიზიკური შეზღუდვის შემთხვევაში, ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის და ა.შ.

— ენობრივი დახმარების გაწევა

— მხარდაჭერა სამედიცინო დახმარების მიღებაში, სათანადო ექიმის მოძიებაში და ექიმთან და საავადმყოფოებთან მიღების შეთანხმებაში

— დახმარება განაცხადების დაყენებისას (ანკეტების შევსება, საჭიროების შემთხვევაში საპასუხო მოთხოვნა) სოციალური დახმარების და თავშესაფრის მიღებაზე დასაქმების ცენტრში, LAF, სოციალურ სამსახურში, შრომის, ჯანდაცვისა და ახალგაზრდობის სააგენტოში (ბაღის ვაუჩერი) და ა.შ.

— დახმარება ბაღსა და სკოლაში სათანადო ადგილის მოძიებაში და რეგისტრაციაში

— დახმარება სათანადო (უფასო) გერმანული ენის კურსის, პროფესიული კვალიფიკაციის, სასწავლო ან სამუშაო ადგილის მოძიებაში

— დახმარება თავშესაფრისა და უცხოელთა უფლებრივი პროცესების ვადების დაცვისას, სათანადო თავშესაფრისა და მიგრაციის საკონსულტაციო უწყებების მოძიებაში და სათანადო ადვოკატის მოძიებაში

— დახმარება საცხოვრისის ძებნისას, მაგ. განცხადება ცხოვრების უფლების დოკუმენტის მიღებაზე, განცხადება Schufa-ინფორმაციაზე

— დახმარება ინტერნეტ ძიებაში, საკონკურსო წერილების დაწერისას

— დახმარება ქირის ხარჯების გადახდის შესახებ განაცხადში - დახმარება მესამე პირების მიერ ფულის მოთხოვნისგან დაცვისათვის (მოვალეების კონსულტაცია, მაგ. სატელეფონო ხელშეკრულებები)

— მაცხოვრებლებსა და მეზობლებს შორის წარმოშობილ კონფლიქტებში შუამდგომლობა

— დახმარება ძალადობისა და დისკრიმინაციის შემთხვევებში

— საპატიო მუშაკებთან სამეზობლო ქსელებისა და კოოპერაციის ჩამოყალიბება და ინიციატივები

მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება ნიმუშს. სოციალური სამუშაოს ამოცანები ასევე დამოკიდებულია თავშესაფრის ტიპზე და რა თქმა უნდა, თავშესაფრის მოთხოვნებზე.

Hayatuna: უსაფრთხოების თანამშრომელი

Hayatuna: სოციალური სამსახური

ადმინისტრაცია

ადმინისტრაციის თანამშრომლები თავშესაფრის ხელმძღვანელობას ეხმარებიან თავშესაფარში ადმინისტრაციული ამოცანების გადაჭრაში. ასევე მათი ამოცანაა, მათ დახმარება გაუწიონ **იმ ოლქის მოქალაქეთა სამსახურში საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციაში, რომელშიც თქვენ ცხოვრობთ**

ყურადღება: BAMF-ს აცნობეთ მისამართის ცვლილების შესახებ!

იმ შემთხვევაში, თუკი თავშესაფრის მაძიებლობის პროცესი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, თქვენ ყველა შემთხვევაში **მოქალაქეთა** სამსახურში რეგისტრაციისას მისამართის **ცვლილების** შესახებ პირადად წერილობით უნდა აცნობოთ მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალურ უწყებას (BAMF) - მაშასადამე უწყებას, რომელიც იღებს, ამოწმებს და გადაწყვეტილებას იღებს თქვენ თავშესაფრის განცხადებაზე, ასევე ამის შესახებ უნდა აცნობოთ **სასამართლოსა და თქვენს ადვოკატს**! თქვენ ამაში შეიძლება დაგეხმაროთ სოციალური სამსახური ან ადმინისტრაციის თანამშრომელი. თუმცა თქვენ ასევე აქტიურად ხელმისაწვდომი უნდა იყოთ ასეთ შემთხვევებში! იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ BAMF-ს დროულად არ აცნობებთ მისამართის ცვლილების შესახებ, შესაძლებელია თავშესაფართან დაკავშირებული ინტერვიუს ან განაცხადის არ მიღების შესახებ BAMF-შეხვედრის დროის შესახებ შეტყობინება ძველ მისამართზე გაიგზავნოს. შესაძლებელია თქვენ ვერ დაიცვათ მნიშვნელოვანი ვადები და აღარ გქონდეთ შესაძლებლობა, თავი დაიცვათ სასამართლოში.

BAMF-თვის მისამართის ცვლილების შესახებ შეტყობინების ნიმუში შეგიძლიათ იხილოთ ბერლინის ლტოლვილთა მრჩეველში ინტერნეტში, თავი 5.6: www.fluechtlingsrat-berlin.de/ratgeber

უმეტესობა LAF-თავშესაფრებში, თქვენ მათ შორის **საპატიო კოორდინატორმა** შესაძლებელია გიშუამდგომლოთ მხარდაჭერასთან დაკავშირებით, მაგ. ბინის ძიებასთან ან უწყებებში შეხვედრასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ამჟამინდელი მდგომარეობით, როგორც წესი LAF-საცხოვრისებში (გარდა ტიპი GU 3 საერთო საცხოვრებლებისა) უზრუნველყოფილია ბავშვთა უფასო მოვლა. მიუხედავად ამისა, ყველა ბავშვს ბერლინში ერთი წლის შესრულების შემდეგ უფლება აქვს მიიღოს ადგილი ჩვეულებრივ დღის საბავშვო ბაღებში (Kita). www.berlin.de/familie/de/informationen/anmeldung-fuer-die-kindertagesbetreuung-139

იმისათვის, რომ შეძლოთ ბაღში ადგილის მიღება, მშობლებმა ახალგაზრდობის უწყებაში უნდა გააკეთონ განაცხადი მოვლის ვაუჩერის მიღებაზე (Kita-ვაუჩერი). ბერლინის მასშტაბით აღნიშნული ვაუჩერის გამოყენება შესაძლებელია საბავშვო ბაღებში ან ბავშვთა მოვლის ორგანიზაციებში.

უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი („SECURITY“)

უსაფრთხოების სამსახურის **თანამშრომლების (Folgenden Security)** ამოცანაა, უზრუნველყოს მობინადრეთა **უსაფრთხოება** - განსაკუთრებით ღამე და კვირის ბოლოს. მათ რიცხვს განეკუთვნება არაუფლებამოსილი პირების მიერ საცხოვრისში შეღწევაში ხელის შეშლა, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს, საფრთხის ქვეშ დააყენოს ან სხვა მხრივ შეაწუხოს მობინადრეები. კონფლიქტების შემთხვევაში თქვენ უნდა შეეცადოთ მათ დეესკალაციას და საკუთარი საქციელით მაგალითი მისცეთ სხვებს. ფიზიკური და სიცოცხლის საფრთხის არსებობისა უსაფრთხოების სამსახური უნდა ჩაერიოს - თუმცა მან ეს უნდა გააკეთოს განსაკუთრებულ კანონით რეგულირებულ სიტუაციებში, რათა ადამიანები დაცული იქნან უნებართვო თავდასხმისაგან. **ამასთან მას გააჩნია მხოლოდ ის უფლებამოსილება, რაც გათვალისწინებულია LAF-თან დადებული ხელშეკრულებით**. **სხვა მხრივ მას**

Hayatuna: ზარი გადაუდებელ შემთხვევაში

იგივე უფლებამოსილება გააჩნია, რაც სხვა ნებისმიერ ადამიანს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (StPO) § 127 ადგენს, რომ ნებისმიერი პირი უფლებამოსილია სასამართლოს განკარგულების გარეშე წინასწარ დააკავოს პირი, თუკი მას დანაშაულზე მიუსწრებენ ან თუკი ის იძებნება, თუკი არსებობს მის მიმალვასთან დაკავშირებული ეჭვი ან თუკი იდენტობა დაუყოვნებლივ ვერ დგინდება.

უსაფრთხოების თანამშრომლებს ასევე უფლება აქვთ იმოქმედონ გადაუდებელი თავდაცვის შემთხვევაში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის (StGB) § 32 თანახმად გადაუდებელი თავდაცვა წარმოადგენს ღონისძიებას, რომელიც საჭიროა კონკრეტულ მომენტში უკანონო თავდასხმის თავიდან აცილებისათვის.

გადაუდებელ სიტუაციებში უსაფრთხოების თანამშრომელმა უნდა გამოიძახოს პოლიცია და ექიმი და გასწიოს პირველადი დახმარება. გარდა ამისა, მის ამოცანას წარმოადგენს ნივთობრივი დაზიანებების თავიდან აცილება. უსაფრთხოების სამსახურმა უნდა მოახდინოს იმ ხდომილებების დოკუმენტირება და საცხოვრისის ხელმძღვანელობისთვის გადაცემა, რომლებიც საფრთხეს უქმნის მობინადრეებს.

უსაფრთხოების სამსახურს შეუძლია შესასვლელში აკონტროლოს მობინადრეთა მოწმობები და ვიზიტორებს მოსთხოვოს პირადობის დოკუმენტის წარდგენა (სურათიანი ნებისმიერი დოკუმენტი საკმარისია, მაგ. დაზღვევის ბარათი, მართვის მოწმობა, მოსწავლის მოწმობა და ა.შ.). თქვენ უფლება არ გაქვთ ჩაიწეროთ ვიზიტორების პირადი მონაცემები და დაიტოვოთ პირადობის დოკუმენტები - მათ შორის დროებით.

აკრძალვები შესაძლებელია უსაფრთხოების სამსახურის ცვლის ხელმძღვანელის მიერ გაცემული იქნას გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც საცხოვრისის ხელმძღვანელობა არ არის ხელმისაწვდომი. LAF-საცხოვრებლებში ნებისმიერ დროს უნდა იყოს მინიმუმ ერთი **მდედრობითი სქესის დაცვის** თანამშრომელი. ყველა თავშესაფარში უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები ნებისმიერ დროს უნდა იყვნენ **ხილულ ადგილას, უნდა ატარონ ბეიჯი მათი სახელით** და ნომრით, ასევე მითითებული უნდა იყოს უსაფრთხოების ფირმის სახელწოდება, რათა ცალსახად მოხდეს მათი იდენტიფიცირება.

უსაფრთხოების უფლებამოსილების ფარგლები:

უსაფრთხოების თანამშრომლებს თავშესაფარში აქვთ ზუსტად განსაზღვრული უფლებამოსილებები, რომლებიც რეგულირებულია LAF-თან ან მფლობელთან დადებულ ხელშეკრულებაში. აღნიშნული უფლებამოსილების გადამეტება დაუშვებელია. ისინი არ წარმოადგენს პოლიციას და ამდენად არ გააჩნია საპოლიციო უფლებამოსილებები.

მათ არ გააჩნიათ იარაღის ტარების უფლება, ე.ი. ცეცხლსასროლი იარაღის, ხელკეტის, მხუთავი გაზის, ელექტროშოკის, იარაღად გამოყენებადი ჯიბის ნათურების ან მისთ. (ხელკეტი ან მხედველობის შემზღუდავი) ტარების უფლება. მათ არ აქვთ ძაღლის ყოლის უფლება.

უსაფრთხოების თანამშრომლებს **არავითარ შემთხვევაში** არ შეუძლიათ ფიზიკური ჩხრეკის ჩატარება. აღნიშნული აკრძალვა არ უშვებს გამონაკლისებს.

მათ არ შეუძლიათ **არც თქვენი ჩანთების და არც თქვენი ოთახის გაჩხერკვა.** მოცემულ შემთხვევაშიც არ არსებობს გამონაკლისები (დამატებითი ინფორმაციები ჩხრეკასთან დაკავშირებით იხილეთ თავში 2.2, გვერდი 27 f.).

(გარდა თავდაცვის/გადაუდებელი დახმარების შემთხვევებისა) მათ **არ შეუძლიათ** წაგართვან საგნები და მოახდინონ მათი დროებით კონფისკაცია.

უსაფრთხოების არც ერთ თანამშრომელს არ გააჩნია ამ წესების დარღვევის უფლება ან თქვენზე მუქარის, ზეწოლის განხორციელების ან დისკრიმინაციის უფლება. თუკი ეს მაინც მოხდება, დაუყოვნებლივ მიმართეთ თავშესაფრის ხელმძღვანელობას ან LAF-საჩივრების მენეჯმენტს. თქვენ საჩივარი ასევე შეგიძლიათ წარადგინოთ BuBS-ში. იქ და ასევე LAF-ში ასევე დასაშვებია ანონიმური საჩივრები.

ძალადობა, ქალებისა და ბავშვების დაცვა, LSBTI დაცვა

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ თავშესაფარში შეიტყობთ სხვა მცხოვრებლების, თანამშრომლების ან უსაფრთხოების მხრიდან ძალადობის შესახებ, თქვენ თავშესაფარში უნდა შემოგთავაზონ მხარდაჭერა. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუკი თქვენ მოგაყენეს რასისტული შეურაცხყოფა, ან გადამცირეს ან გაგლანძღეს თქვენი სქესობრივი იდენტობის ან სექსუალური ორიენტაციის გამო ან თუ ხართ ე.წ. მობინგის მსხვერპლი. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ LAF-ს, საცხოვრისის გარეთ არსებულ საკონსულტაციო სამსახურს, ახალგაზრდობის სამსახურს (თუკი დაზარალებულები არიან ბავშვები) ან ძალადობის ან მუქარის შემთხვევაში პოლიციას. იმ შემთხვევაში, თუკი სახეზე არ არის პირდაპირი მუქარის ან საფრთხის შემცველი სიტუაციები, უმჯობესია დაეკონტაქტოთ საკონსულტაციო სამსახურს, სანამ მიმართავდეთ პოლიციას (იხილეთ ლინკი გვერდზე 51).

LAF-საცხოვრისში მფლობელს უნდა ჰქონდეს წერილობითი **კონცეფცია ძალადობის, ქალებისა და ბავშვთა დაცვასთან** დაკავშირებით. გარდა ამისა, მფლობელმა ძალადობისგან დაცვის მიზნით რეგულარულად უნდა შემოგთავაზოთ კონსულტაციები და ღონისძიებები. ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს **საკონტაქტო პირი, რომელსაც შეგიძლიათ მიმართოთ ბავშვთა კეთილდღეობის** დარღვევის ყველა შემთხვევაში. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს საკონტაქტო პირი **ქალთა დაცვისა და LSBTI** (ლესბოსელები, ჰომოსექსუალები, ბისექსუალები, ტრანსგენდერები, ტრანსსექსუალები და ინტერსექსუალები) დაცვის საკითხებთან დაკავშირებით.

თავშესაფარში ძალადობის ან სხვა დისკრიმინაციის შემთხვევების შესახებ ხელმძღვანელობა ვალდებულია, დაუყოვნებლივ გადაამოწმოს და აღმოფხვრას ამგვარი შემთხვევები. გარდა ამისა, თავშესაფრის ხელმძღვანელობა სურვილის შემთხვევაში შუამდგომლობას გაგიწევთ გარე კონსულტაციის მიღებაზე. ასევე ნეგატიური გამოცდილების შესახებ თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ კონსულტაციისათვის და ინფორმაცია მიიღოთ შემოთავაზებების შესახებ. მფლობელის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მობინადრეთათვის შესაბამისი ინფორმაციების

ხელმისაწვდომობა (მაგ. საერთო სარგებლობის სივრცეში ან მსგავს ადგილას ინფორმაციის გამოტანით). **ბავშვთა საფრთხესთან** დაკავშირებული მინიშნებების შემთხვევაში საცხოვრისის პერსონალმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს რეაგირება, მაშასადამე გაესაუბროს მშობლებს და საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცის მიაწოდოს LAF-ს და ახალგაზრდობის სამსახურს. ბავშვთა საფრთხე სახეზეა მაგ. თუკი მშობლები უხეშად არღვევენ მზრუნველობის ვალდებულებას, ბავშვზე ძალადობენ ფიზიკურად ან მორალურად ან უყურებენ ბავშვზე ძალადობას, ბავშვი ტოვებს მზრუნველობამოკლებულის შთაბეჭდილებას ან მისი საქციელი თვალშისაცემია. აღნიშნული განსაკუთრებული შემთხვევების გარდა **საცხოვრისის პერსონალს არ აქვს უფლება ჩაერიოს ბავშვის აღზრდაში**. ეს მხოლოდ და მხოლოდ მშობლების გადასაჭრელი საკითხია! თუკი თქვენ, როგორც მშობელი, საცხოვრისში შენიშნავთ თქვენი შვილის მიმართ **არსებულ საფრთხეს, უნდა მიმართოთ ბავშვთა დაცვაზე** უფლებამოსილ საკონტაქტო პირას ან საკონსულტაციო სამსახურს ან საოლქო ახალგაზრდობის სამსახურს.

ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებული სამოქმედო წესების შესახებ დამატებით ინფორმაციებს შესაძლებელია გაეცნოთ ვებ-გვერდზე www.bildungsserver.berlin-brandenburg.de/kooperation-schule-jugendhilfe-k და ჩამოტვირთოთ PDF-ფაილი..

თავშესაფრის თანამშრომლებიარ იღებენ გადაწყვეტილებას თქვენ თავშესაფრის მაძიებლობის პროცესთან ან თქვენ ქვეყანაში ყოფნასთან დაკავშირებით.

საცხოვრისის ხელმძღვანელობას, პერსონალს და დაცვის სამსახურს არ შეუძლია თავშესაფრის მაძიებლობის ან ქვეყანაში ყოფნის სტატუსთან დაკავშირებულ BAMF-ის,

KoordFM: ვორკშოპები LfG-ის თავშესაფარში პანკოვში მრავალფეროვნების აღიარების სამუშაო ჯგუფთან

სასამართლოს ან სამხარეო უწყების გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა. თავშესაფრის მაძიებლობის განაცხადებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ BAMF; ქვეყანაში ყოფნის ნებართვაზე, თმენაზე და გაძევებაზე გადაწყვეტილებას ირებს მიგრაციის სამხარეო უწყება (LEA), უცხოელთა სამსახური.

იმას, თუ რა იციან ან რას ფიქრობს თქვენზე პერსონალი და დაცვის სამსახური თქვენი თავშესაფრის მაძიებლობის ან გერმანიაში ყოფნის უფლების მოპოვების თვალსაზრისით არანაირ როლს არ თამაშობს. რა თქმა

უნდა, თქვენ შეგიძლიათ დახმარებისათვის მიმართოთ თავშესაფრის სოციალურ მუშაკებს ან საკონსულტაციო სამსახურს, თუკი გსურთ, რომ თავშესაფრის მიღებაზე უარისგან თავი დაიცვათ.

აღნიშნულთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მიიღეთ ბერლინის ლტოლვილთა მრჩეველში ინტერნეტში, თავი 5: www.fluechtlingsrat-berlin.de/ratgeber

თავშესაფრის თანამშრომლები თავშესაფრის თანამშრომელი არ იღებს გადაწყვეტილებას, რამდენ ფულს მიიღებთ თქვენ

იღებთ თუ არა ან რა ოდენობის (ფულად) დახმარებას იღებთ განისაზღვრება სოციალური კანონმდებლობით, AsylbLG, SGB II ან SGB XII და მოწმდება LAF-ის, შესაბამისი საოლქო უწყების (სოციალური სამსახურის) ან დასაქმების ცენტრის მიერ. გადაწყვეტილებაზე თავშესაფრის

KoordFM: ვორკშოპები LfG-ის თავშესაფარში პანკოვში მრავალფეროვნების აღიარების სამუშაო ჯგუფთან

პერსონალი გავლენას ვერ ახდენს. აღნიშნული დახმარების მიღებაზე, როგორც წესი, უნდა გაკეთდეს განაცხადი. სოციალური სამსახური, საკონსულტაციო სამსახურები, ადვოკატები განახორციელებენ თქვენს მხარდაჭერას ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით. საკონსულტაციო სამსახურები და ადვოკატები თქვენ

აგიხსნიან LAF-ის, დასაქმების ცენტრის ან საოლქო უწყების (სოციალური სამსახურის) გადაწყვეტილებებს და გირჩევენ, უნდა იმოქმედოთ თუ არა ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, მაგ. თუკი ადგილი აქვს დახმარების ოდენობის შემცირებას, როდესაც თქვენი განცხადება არ იქნება მიღებული და ა.შ.

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბერლინის ლტოლვილთა მრჩეველში, თავი 10 და 11, ინტერნეტში: www.fluechtlingsrat-berlin.de/ratgeber

თავშესაფრის თანამშრომლები თავშესაფრის თანამშრომელი არ იღებს გადაწყვეტილებას, მიიღებთ თუ არა ბინას

თქვენი ბინის მიღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს არა თავშესაფრის პერსონალი, არამედ გამქირავებელი. სოციალური სამსახური ან დასაქმების ცენტრი იღებს გადაწყვეტილებას, არის თუ არა ქირის ხარჯები სათანადო და შესაძლებელია თუ არა მათი გადახდა სოციალური დახმარების ფარგლებში. საცხოვრისის სოციალურ სამსახურს სთხოვეთ, დაგეხმარონ ბინის ძიებაში, ასევე ბინის ხარჯების გადახდასთან დაკავშირებული განცხადების მომზადებაში. ადგილობრივ საკონსულტაციო სამსახურებს, ასევე მხარდაჭერის ინიციატივებს, როგორიცაა საოლქო მიმღები კავშირი, შეუძლიათ მხარდაჭერა აღმოგიჩინონ ბინის ძიებაში.

განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე პირებისათვის არსებობს შესაძლებლობა, რომ LAF-ს მოსთხოვოს „ლტოლვილებისათვის ბინების“ კონტიგენტის მომლოდინეთა სიაში შეტანა, იხილეთ ინტერნეტში: www.berlin.de/laf/wohnen/informationen-fuer-fluechtlinge/wohnungen/

მეტი ინფორმაცია იხილეთ ბერლინის ლტოლვილთა მრჩეველში, თავი 9, ინტერნეტში: www.fluechtlingsrat-berlin.de/ratgeber

საცხოვრებლის თანამშრომლები არ იღებენ გადაწყვეტილებას, შეგიძლიათ თუ არა იმუშაოთ ან მიიღებთ თუ არა სამუშაოს

გაქვთ თუ არა მუშაობის უფლება, ეს დამოკიდებულია თქვენს აქტუალურ ქვეყანაში ყოფნის სტატუსზე. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ თქვენი ქვეყანაში ყოფნა თმენის ფარგლებშია მოქცეული ან ქვეყანაში ყოფნის უფლებას ფლობთ, თქვენ LEA-ს უნდა წარუდგინოთ განცხადება ნებართვის მიღებაზე სანამ დაიწყებთ მუშაობას ან პროფესიის შესწავლას. სოციალურ სამსახურს ან საკონსულტაციო უწყებას მიმართეთ განაცხადში დახმარებისათვის. იმ შემთხვევაში, თუკი მუშაობა გეკრძალებათ, თქვენ შეგიძლიათ ეს გაასაჩივროთ. მისამართები და საკონსულტაციო სამსახურები შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

ზოგიერთ საცხოვრისში არსებობს ეგრეთ წოდებული „მუშაობის შესაძლებლობა“ (§ 5 AsylbLG). სამუშაოსათვის თქვენ ამჟამად მიიღებთ 80 ცენტს/საათში როგორც კომპენსაციას. აღნიშნული შრომის შესაძლებლობები საცხოვრებლის ყველა მობინადრეს შორის სამართლიანად უნდა იქნას განაწილებული. დაუშვებელია ვინმეს მიენიჭოს უპირატესობა ან იქნას უგულებელყოფილი. საჭირო სამუშაოები, მაგ. წმენდა და რემონტი საცხოვრისში არ უნდა განხორციელდეს სამუშაოს მიღების ფარგლებში.

KoordFM: AWO Refugium - ის თავშესაფარში მაცხოვრებლების გამოკითხვების შეფასება, 2018

აღნიშნულთან დაკავშირებით მეტი ინფორმაციები ბერლინის ლტოლვილთა მრჩეველში, თავი 14, ინტერნეტში: www.fluechtlingsrat-berlin.de/ratgeber

თავშესაფრის პერსონალს არ აქვს თქვენგან ფულის მოთხოვნის უფლება

თავშესაფრის მფლობელს, ასევე თავშესაფრის პერსონალს არ აქვს თქვენგან ფულის მოთხოვნის უფლება.

სარეცხი მანქანების, საშრობის, საშხაპეების და სამზარეულოების გამოყენება, სოციალური სამსახურის მიერ კონსულტაციის გაწევა და საცხოვრისში (მხოლოდ გამონაკლის სივრცეებში) მიწოდებული საკვები და ჰიგიენური საშუალებები თქვენთვის არის უფასო. თქვენ ასევე არ უნდა გადაიხადოთ გირაო ავეჯის, გასაღებების ან ლიფტის მარკების მიღებისათვის.

მფლობელის ხარჯებს იხდის LAF. აქედან გამომდინარე **თქვენ მფლობელს არასოდეს უხდით ფულს**. LAF-გან თქვენ მიიღებთ წერილობით გადახდის მოთხოვნას, თუკი თქვენი შემოსავლის საფუძველზე ვალდებული ხართ განახორციელოთ საცხოვრისის საფასურის თანაგადახდა (შდრ. თავი 5).

იმ შემთხვევაში თუკი მფლობელი ან პერსონალი თქვენგან ფულს მოითხოვს, თქვენ უნდა მოითხოვოთ წერილობითი დასაბუთება და აღნიშნული დასაბუთებით მიმართოთ LAF-ს ან საკონსულტაციო სამსახურს, რათა გადაამოწმებინოთ ფულის მოთხოვნის ლეგიტიმურობა.

KoordFM: AWO Refugium - ის ინფორმირება თავშესაფარში

KoordFM: AWO Refugium - ის ინფორმირება თავშესაფარში

2.2. რა უფლებები გაქვთ თავშესაფარში?

საცხოვრისის ხელმძღვანელობა ვალდებულია, უზრუნველყოს საცხოვრისში თქვენი (ძირითადი) უფლებების დაცვა და იზრუნოს იმაზე, რომ თქვენ პატივისცემით მოგეპყრან საცხოვრისის თანამშრომლები. ეს ასევე შეეხება თქვენი პირადი სფეროსა და პირადი უფლებების დაცვას!

შეუძლია სხვას თქვენი ფოსტის გახსნა ან თქვენს მაგივრად ფოსტის მიღება?

გერმანიაში მოქმედი კანონები არეგულირებს, რომ თქვენი ფოსტა, როგორიცაა მაგ. წერილები, თქვენი ნებართვის გარეშე არ გაიხსნას სხვა პირების მიერ. აღნიშნული ძალაშია იმ შემთხვევაშიც, თუკი თქვენ არ გაქვთ საკუთარი საფოსტო ყუთი. საცხოვრისის ხელმძღვანელობას მართალია შეუძლია თქვენი ფოსტის მიღება (გამონაკლისები იხილეთ ქვემოთ), თუმცა მათი გახსნა ან სხვა პირებზე გადაცემა თქვენი ცალსახა თანხმობის გარეშე არ შეუძლია. ფოსტა თქვენ **ყოველთვის უნდა გადმოგეცეთ** გაუხსნელი ან საფოსტო ყუთში განთავსებული. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი ფოსტა ნებართვის გარეშე გაიხსნა, ეს წარმოადგენს კანონდარღვევას, რომელიც ეხება ყველას თავშესაფარში. ამის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ დარღვევის გამო პოლიციაში **საფოსტო საიდუმლოს** დარღვევის გამო შეიტანოთ განცხადება. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ამაში დახმარება გესაჭიროებათ, შეგიძლიათ მიმართოთ BuBS-ს ან სხვა წინამდებარე სახელმძღვანელოს დანართში მითითებულ უწყებას.

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ცხოვრობთ **მიმღებ დაწესებულებაში**, დაწესებულების თანამშრომლებმა უნდა მოგაწოდონ ინფორმაცია, როდესაც მიიღებთ ფოსტას. ყოველდღე მოიკითხეთ, არის თუ არა შემოსული ფოსტა თქვენთვის. საცხოვრებელში უნდა გამოიკრას ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როდის შეგიძლიათ გაიტანოთ თქვენი ფოსტა.

საერთო საცხოვრებლებში **საცხოვრებლის თანამშრომლები ვალდებულნი** არ არიან ინფორმაცია მოგაწოდონ ფოსტის მიღების შესახებ. მიმღები დაწესებულებებისგან განსხვავებით შესაძლებელია საერთო საცხოვრებელში მობინადრეთათვის არსებობდეს საფოსტო ყუთები. ყოველდღე აკონტროლეთ თქვენი საფოსტო ყუთი და დარწმუნდით, რომ გაწვდიან ინფორმაციას, როდესაც იღებთ ფოსტას. იმ შემთხვევაში, თუკი არ გაქვთ საფოსტო ყუთი, საცხოვრისის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს, რომ შეძლოთ ფოსტის მიღება. ფოსტის გადაცემის ზუსტი პროცესი რეგულირდება შესაბამის საცხოვრისში.

იმ შემთხვევაში, თუკი თავშესაფარში ფოსტის გადაცემის დროები შეზღუდულია და თქვენ ფოსტას მალევე ვერ მიიღებთ, მიმართეთ საცხოვრებლის ხელმძღვანელობას ან LAF ან BuBS-ის საჩივრების სამსახურს.

LAF ცდილობს, რომ მომავალში გააუმჯობესოს ფოსტის ჩაბარების მეთოდი, რისთვისაც ნაწილობრივ სხვადასხვა წინაპირობები გათვალისწინებული უნდა იქნას LAF-ის დაახლოებით 80 თავშესაფარში..

ფოსტის ჩაბარებასთან დაკავშირებული ფორმალობები:

BAMF-ის ან სასამართლოს მნიშვნელოვანი წერილები ხშირად იგზავნება **ყვითელი კონვერტით. ყველა შემთხვევაში შეინახეთ ყვითელი კონვერტი**. კონვერტზე მონიშნულია ჩაბარების თარიღი. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც აღნიშნული თარიღის მომდევნო დღიდან იწყება ვადის ათვლა, მაგ. BAMF-ის მიერ თავშესაფარზე უარის თქმის შემთხვევაში საჩივრის შეტანის ვადა! საერთო საცხოვრებელში, **როგორც წესი, მოქმედებს შემდეგი**: ყვითელი წერილები ან ფოსტის ჩაბარების დოკუმენტები ფოსტამ, როგორც წესი, **პირადად თქვენ უნდა გადმოგცეთ**. თუკი თქვენ ადგილზე არ იმყოფებით ან ფოსტას ვერ დახვდით, შესაძლებელია წერილი გადაეს თქვენი ოჯახის წევრს, თანამაცხოვრებელს ან **საცხოვრებლის ხელმძღვანელობას**. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ „შემცვლელზე ჩაბარებაზე“. შეამოწმეთ ან ყოველ დღე მოიკითხეთ, მიიღეთ თუ არა ფოსტა, ვინაიდან ვადის ათვლა იწყება „შემცვლელზე ჩაბარების“ შემთხვევაშიც! ფოსტას შეუძლია შეტყობინების ფურცელი დატოვოს თქვენი ოთახის კარზე ან საცხოვრებლის ხელმძღვანელობასთან და ფოსტის ფილიალში დატოვოს თქვენთვის **განკუთვნილი წერილი**. თქვენ **შეძლებისდაგვარად დროულად უნდა მიაკითხოთ** წერილს ფოსტაში, ვინაიდან წერილი უკვე ჩაბარებულად ითვლება!

მიმღებ დაწესებულებაში ფოსტის სამსახური ყვითელ წერილებს პირადად თქვენ კი არ გადმოგცემთ, არამედ **საცხოვრებლის ხელმძღვანელობას** ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლებს. ამ პირებმა წერილი თქვენ უნდა გადმოგცეთ და კონვერტზე უნდა მონიშნოს გადმოცემის თარიღი. კანონით დადგენილი მოთხოვნების თანახმად წერილი პერსონალზე გადაცემიდან **მესამე დღეს ითვლება ჩაბარებულად და კერძოდ მაშინაც კი, თუკი გზავნილი თქვენ** პერსონალისაგან გზავნილი იმაზე

გვიან ჩაგბარდებათ, ვიდრე მან ფოსტისგან ჩაიბარა. თუკი სოციალური სამსახური ან თავშესაფრის სხვა თანამშრომლები თქვენ ყვითელ წერილს გადმოგცემთ, ყოველთვის მიაქციეთ ყურადღება თარიღს, რომელიც ფოსტის მიერ მოინიშნება კონვერტზე. იმ შემთხვევაში, თუკი კონვერტი რამდენიმე დღით ადრეა დათარიღებული მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ყოველ დღე კითხულობდით ფოსტის მოსვლის შესახებ, მოითხოვეთ წერილობითი დასტური წერილის ჩაბარების თარიღის შესახებ. აღნიშნული დასტურის გარეშე ნუ წახვალთ.

ჩაბარებისას შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს **შეცდომას**, მაგ. თუკი ფოსტის სამსახური (ფოსტალიონი) წერილს თავშესაფრის ხელმძღვანელობის ან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის ნაცვლად უსაფრთხოების თანამშრომელს გადასცემს ან საცხოვრისის ხელმძღვანელობა თქვენ მას დროულად არ გადმოგცემთ. იმ შემთხვევაში, თუკი ჩაბარების პრობლემების გარეშე მნიშვნელოვან ვადებს დაარღვევთ, საკონსულტაციო სამსახურის ან ადვოკატის მეშვეობით გადაამოწმეთ, მოხდა თუ არა ჩაბარება კორექტულად! იმ შემთხვევაში, თუკი ჩაბარებისას ადგილი ექნება შეცდომებს, არ დაუშვათ, რომ პასუხისმგებლობა დაგეკისროთ თქვენ.

Hayatuna: ფოსტის გადაცემა

აქვთ თუ არა უფლება თანამშრომლებს თქვენი ნებართვის გარეშე შევიდნენ თქვენს ოთახში?

თავშესაფრის მფლობელი ვალდებულია, ყურადღება გაამახვილოს შინაგანაწესისა და ჰიგიენის დაცვაზე და თავშესაფრის გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნებაზე. აქედან გამომდინარე შესაძლებელია, რომ პერსონალმა თქვენი ოთახი შეამოწმოს მაგ. მავნებლების არსებობაზე ან რემონტის საჭიროებაზე. ეს არ ნიშნავს, რომ თავშესაფრის პერსონალს უფლება აქვს თქვენი ნებართვის გარეშე შევიდეს თქვენს ოთახში!

თავშესაფრის ხელმძღვანელობამ, თანამშრომელმა, უსაფრთხოების მუშაკმა და სხვა მაცხოვრებლებმა უნდა დაიცვან **ბინის ხელშეუხებლობის** ძირითადი უფლება (კონსტიტუცია, მუხლი 13) და (**პირადი სფეროს დაცვა**) (მუხლი 2 აბზაცი 1 კონსტიტუციის მუხლი 1 აბზაცი 1 კავშირში). თქვენ გაგაჩნიათ თქვენს ოთახში ცხოვრების უფლება. ეს ნიშნავს, რომ თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ, ვის აქვს თქვენ ოთახში შესვლის და იქ ყოფნის უფლება.

იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს **გადაუდებელი საჭიროება**, მაგ. ხანძარი, დიდი უბედური შემთხვევა ან ადამიანის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის მწვავე საფრთხე, შესაძლებელია თქვენს ოთახში წინასწარი გაფრთხილების გარეშე შემოვიდნენ. ამას უწოდებენ „**შეყოვნებულ საფრთხეს**“. იმ შემთხვევაში, თუკი საცხოვრებლის პერსონალი თქვენს ოთახში თქვენი არ ყოფნის დროს შევა, მის მიერ შესაბამისი წერილობითი დასაბუთება უნდა იქნას დატოვებული თქვენს ოთახში ან საცხოვრისის ხელმძღვანელობასთან.

სხვა შემთხვევაში საცხოვრებლის თანამშრომლებს უფლება არ აქვთ თქვენი ნებართვის გარეშე და **თქვენი არ ყოფნის დროს შევიდეს თქვენს ოთახში**. როდესაც ოთახში ხართ უნდა დააკაკუნოთ და დაელოდოთ, სანამ გეტყვიან, რომ შეგიძლიათ ოთახში შესვლა. დაგეგმილი სარემონტო სამუშაოები, მავნებლების განადგურება, მოსპობა და მისთანა უნდა განხორციელდეს დროულად და წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული თქვენთან (ან მრავალსაწოლიანი ოთახის შემთხვევაში ყველა

Hayatuna: პირად სივრცეში შესვლა

მობინადრესთანიმ შემთხვევაში, თუკი ვინმე თქვენი სურვილის წინააღმდეგ თქვენს ოთახში შევა ისე, რომ მას მნიშვნელოვანი საფრთხე არ ემუქრება, თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ განაცხადი სისხლის სამართლებრივ დევნაზე. აღნიშნული განაცხადი წერილობითი ფორმით უნდა წარედგინოს პროკურატურას, პოლიციას ან სასამართლოს ან ოქმის სახით წარედგინოს პროკურატურას ან სასამართლოს. თუ არ ხართ დარწმუნებული, ნებადართულია თუ არა ოთახში შესვლა საცხოვრებლის პერსონალის მიერ, დაასახელებინეთ ოთახში შესვლის მიზეზი. მოახდინეთ შემთხვევის დოკუმენტირება და მიმართეთ საცხოვრებლის ხელმძღვანელობას, BuBS-ს (აღნიშნულთან დაკავშირებით დეტალურად იხილეთ თავი 6) ან საკონსულტაციო ინსტანციას.

Hayatuna: ჩხრეკა

უფლება აქვს თუ არა საცხოვრებლის პერსონალს გაჩხრიკოს თქვენი ოთახი, თქვენი კარადა, თქვენი ნივთები?

საცხოვრებლის პერსონალს ან უსაფრთხოების სამსახურს არ აქვთ თქვენი ოთახის, კარადის ან პირადი ნივთების ჩხრეკის უფლება. აღნიშნული მოქმედებს გამონაკლისების გარეშე.

რა უფლებები გააჩნია პოლიციას? რა წესები მოქმედებს გაძევების შემთხვევებში?

პოლიციას უფლება აქვს გაჩხრიკოს თქვენი ოთახი, თუკი მას აქვს **მოსამართლის ჩხრეკის გადაწყვეტილება**. მოსამართლის გადაწყვეტილების გარეშე ჩხრეკა შესაძლებელია ჩატარდეს გამონაკლის შემთხვევებში, თუკი არსებობს შესაბამისი საფრთხე. **საფრთხე შესაძლოა არსებობდეს**, თუკი პოლიცია დამნაშავეს უშუალოდ დანაშაულის შემდეგ ეძებს ან არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ დამნაშავე იმყოფება ოთახში, ან დამნაშავე უშუალო საფრთხეს უქმნის მესამე პირების სხეულსა და სიცოცხლეს. **იმ შემთხვევაში, თუკი პოლიცია წარმოადგენს თანამობინადრის კარადების ჩხრეკის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს მხოლოდ თანამობინადრის კარადები გაჩხრიკოს და არა თქვენი კარადები გაძევების შემთხვევაშიც კი პოლიციას ესაჭიროება ჩხრეკის შესახებ გადაწყვეტილება, მაგ. როდესაც ისინი თქვენი ნებართვის გარეშე კარადებს ჩხრეკენ ან მაგ. საწოლების ქვეშ ეძებენ.**

ჩხრეკის გადაწყვეტილების გარეშე პოლიციას გაძევების პროცესის ფარგლებში მხოლოდ თქვენს ოთახში შემოსვლის უფლება აქვს. „შესვლა“ ნიშნავს, რომ პოლიციას შეუძლია დაათვალიეროს თქვენი ოთახი, მაგრამ არ შეუძლია სხვა სამძებრო სამუშაოების შესრულება (მაგ. კარადების გაღება).

თუკი პოლიცია ახორციელებს თქვენი ოთახის ჩხრეკას, ყოველთვის მოითხოვეთ ჩხრეკის გადაწყვეტილება! ყველა შემთხვევაში მოიკითხეთ ჩხრეკის ოქმი. მოცემულ შემთხვევაში ასევე დასახელებული უნდა იყოს ჩხრეკის მიზეზები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუკი პოლიცია ამტკიცებს, რომ საფრთხე მიილია. ყოველთვის მოითხოვეთ ოქმი ან საქმის ნომერი, როდესაც საგნები მიაქვთ.

იმ შემთხვევაში, თუკი ეჭვი გეპარებათ, რომ პოლიციას არ გააჩნია თქვენს ოთახში შესვლის ან ჩხრეკის უფლება, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ LAF-ს, BuBS-ს, სხვა პროფესიონალურ სამართლებრივ მრჩეველს (ადვოკატს) ან ლტოლვილთა სხვა საკონსულტაციო უწყებას.

რა წესები მოქმედებს გადაუდებელ სამედიცინო შემთხვევაში?

თუკი თქვენ მწვავე **სამედიცინო შემთხვევის გამო** გესაჭიროებათ სახანძროს **სამაშველო მანქანა** ან ექიმი, უსაფრთხოების სამსახური ან თავშესაფარის პერსონალი უნდა დაგეხმაროთ სამაშველო მანქანის ან ექიმის გამოძახებაში. **სამედიცინო საჭიროებებთან დაკავშირებით უსაფრთხოების სამსახურს ან თავშესაფარის პერსონალს გადაწყვეტილების მიღების უფლება არ გააჩნია!** არც თავშესაფარის პერსონალს და არც უსაფრთხოების სამსახურს არ აქვს შესაბამისი სამედიცინო ცოდნა, რათა შეაფასონ, გამოიძახონ თუ არა სამაშველო მანქანა. სამაშველო მანქანა უნდა მოვიდეს, თუკი ივარაუდება, რომ სახეზეა სამედიცინო გადაუდებელი

შემთხვევა და ტაქსით საავადმყოფოში წასვლა შეუძლებელია.

მწვავე გადაუდებელ შემთხვევაში თქვენ უფლება გაქვთ დაურეკოთ სახანძროს სამაშველო სამსახურს (ტელეფონის ნომერი: 112), თუკი თავად დროულად არ შეგიძლიათ საავადმყოფოში წასვლა. იმ შემთხვევაში, თუკი დაცვის სამსახური ან თავშესაფარის პერსონალი თქვენი თხოვნის მიუხედავად არ გამოიძახებს სამაშველო მანქანას, დაუყოვნებლივ მიმართეთ თავშესაფარის ხელმძღვანელობას და BuBS-ს.

თუკი ნაკლებად გადაუდებელია, თუმცა თქვენ არ შეგიძლიათ ექიმის მიღების საათების დალოდება, შეგიძლიათ თქვენ ან უსაფრთხოების სამსახურმა ან თავშესაფარის პერსონალმა დღე-ღამის ნებისმიერ დროს გამოიძახოთ მორიგე სამედიცინო ბრიგადა (ტელეფონის ნომრები 116 ან 117). თქვენ ტელეფონზე შეგიძლიათ მიიღოთ ექიმის რჩევა და მოითხოვოთ ექიმის მორიგე ბრიგადის გამოძახება. ექიმი თქვენთან საცხოვრისში ავტომობილით მოვა უახლოეს საათებში.

როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი შეიტყობთ თავშესაფარში ძალადობის შესახებ?

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ განიცდით სექსუალურ ან სხვა ძალადობას, თქვენ **უფლება გაქვთ, დაურეკოთ პოლიციას.** თქვენი სურვილის შემთხვევაში თავშესაფარის პერსონალმა ან უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა უნდა გამოიძახონ პოლიცია. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იძალადა. თქვენ უფლება გაქვთ გესაუბროთ პოლიციას და გააკეთოთ განცხადება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი სხვა რამეს მოგიწოდებენ. რეკომენდირებულია, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, წინასწარ გესაუბროთ საკონსულტაციო სამსახურს. სპეციალიზირებული საკონსულტაციო სამსახურების მისამართებთან დაკავშირებით მიმართეთ სოციალურ სამსახურს.

ბერლინში არსებობს მრავალი ინიციატივა და ორგანიზაცია, რომელთაც შეგიძლიათ მიმართოთ და სთხოვოთ მხარდაჭერა, პრაქტიკული ინფორმაციის ან მითითებების მოწოდება. ოლქების მიხედვით დიფერენცირებული სია შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში მისამართზე: www.berlin.de/fluechtlinge/berlin-engagiert-sich/berliner-initiativen

გაქვთ სტუმრების მიღების უფლება?

თქვენ უფლება გაქვთ, სივრცეებში, რომლებიც თქვენ საცხოვრისის ხელმძღვანელობის მიერ მოგენიჭათ ან საერთო სარგებლობის სივრცეებში მიიღოთ სტუმრები. სტუმრების მიღებასთან დაკავშირებულ ცალკეულ რეგულაციებს გაეცანით შინაგანაწესში. **როგორც მინიმუმ, თქვენ სტუმრების მიღება შეგიძლიათ 6-დან 22 სთ-მდე**.

იმ შემთხვევაში, თუკი გსურთ სტუმარი მიიღოთ ღამის თევით, მიმართეთ საცხოვრებლის ხელმძღვანელობას. LAF-თან შეთანხმებით ისინი ამოწმებენ, არსებობს თუ არა ამის წინაპირობები (მაგალითად თავისუფალი ოთახები) თავშესაფარში. გადაუდებელ სიტუაციებში, როდესაც მაგალითად თქვენი შვილი ავადაა ან მობინადრე საჭიროებს მოვლას, სტუმარი შესაძლებელია სპონტანურად დარჩეს თავშესაფარში. თუმცა თქვენ უნდა აცნობოთ თავშესაფრის ხელმძღვანელობას. ბუნებრივია თქვენ შვილებს შეიძლება ესტუმრონ მეგობრები ისე, რომ მათი მშობლები თავშესაფარის პერსონალს წინასწარ არ წარუდგნენ.

LAF ყველა არსებული თავშესაფარის მფლობელს სთხოვს იმ შესაძლებლობის უზრუნველყოფას, რომ სტუმრებმა შეძლონ თავშესაფარში დროებით ღამის გათევა. გარდა ამისა, მოწმდება არის თუ არა ან რა სახით არის საჭირო ამგვარი ოპციები სამომავლო თავშესაფრებისთვის და საჭიროა თუ არა მათი ექსპლოატაციის ხელშეკრულებაში შეტანა.

თავშესაფრის ხელმძღვანელობა ვალდებულია, სათანადოდ მოგაწოდოთ ინფორმაცია თავშესაფარში სტუმრების მიღებასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ (მაგ. გამოკვრა, ფლაიერი და ა.შ.). ინფორმაცია ასევე უნდა შეიცავდეს მითითებას იმის შესახებ, სტუმრები დასაშვებია დღის საათებში თუ სტუმრებს - ზემოთ დასახელებული გადაუდებელი სიტუაციების გარდა - უფლება აქვთ, ღამე თავშესაფარში გაათიონ. შემოსვლისას

თქვენმა სტუმარმა უნდა გაიაროს რეგისტრაცია. კარის დარაჯს უფლება აქვს გააკონტროლოს პირადობის დოკუმენტი, თუმცა არ აქვთ უფლება დოკუმენტი დაიტოვონ სტუმრობის განმავლობაში ან ჩაინიშნონ თქვენი სტუმრის გვარი და სხვა მონაცემები. თავშესაფრის ხელმძღვანელობას, სოციალურ სამსახურსა და დაცვის სამსახურს უფლება არ აქვთ, სტუმართან ერთად იმყოფებოდნენ ან იკითხონ, თუ რა ურთიერთობა გაქვთ ვიზიტორთან.

ვის დაპატიჟებთ თავშესაფარში სტუმრად, ეს თქვენი გადასაწყვეტია. თუმცა ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ არ იქნას დარღვეული **თქვენი თანამაცხოვრებლების პირადი უფლებები. თავშესაფარში თქვენ ასევე შესაძლებელია გესტუმროთ თქვენი ადვოკატი, კონსულტანტი და** არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები, რათა გაგიწიონ კონსულტაცია და მხარდაჭერა. აღნიშნულ პირებს არ შეიძლება უარი ეთქვას თავშესაფარში შესვლაზე.

სტუმრობის შესაძლებლობის შეზღუდვა შესაძლებელია ინფექციისგან დაცვის მიზეზებიდან გამომდინარე და გამომდინარეობს სამხარეო სამართლებრივი ნორმებიდან, რომლებიც ასევე სავალდებულოა ლტოლვილთა თავშესაფარის მფლობელებისათვის.

თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ LAF-ს, საკონსულტაციო სამსახურს ან BuBS-ს, თუკი თავშესაფრის ხელმძღვანელობა ზოგადად გიკრძალავთ სტუმრების მიღებას ან დიდ შეზღუდვებს გიწესებთ.

რა მოხდება, თუკი თქვენ რამდენიმე დღე არ იქნებით თავშესაფარში ან თუკი გსურთ გამგზავრება?

თქვენ თავშესაფარი შეგიძლიათ დატოვოთ ღამითაც. თუკი თქვენ 24 საათზე მეტი ხნით ტოვებთ თავშესაფარს, უნდა აცნობოთ თავშესაფარის პერსონალს, სხვა შემთხვევაში მესამე დღიდან თქვენი ადგილი შესაძლებელია გადაეცეს ვინმე სხვას..

იმ შემთხვევაში, თუკი **სამ დღეზე მეტი ხნით** აპირებთ საცხოვრისის დატოვება, ინფორმაცია მიაწოდეთ საცხოვრებლის ადმინისტრაციას. პირები, რომლებიც LAF-ის **დახმარებას იღებენ**, **LAF-ის** თანხმობით დასაშვებია წლის განმავლობაში **20 დღემდე არ ყოფნა ოსე, რომ არ დაკარგავენ თავშესაფარში ადგილს**, გამონაკლის შემთხვევებში კი, მაგ. ავადმყოფობის შემთხვევაში გაცილებით დიდ ხანს (იხ.LAF -შინაგანაწესი § 3.8 და § 3.9).

თანხმობა გაიცემა, თუკი ეს წინააღმდეგობაში არ მოდის სამართლებრივ მიზეზებთან და ხანგრძლივი არ ყოფნა (მაგ. საავადმყოფოში ყოფნის, უწყებებთან შეხვედრის, ნებადართული სამუშაოს შესრულების, განსაკუთრებულ ოჯახურ დღესასწაულებში მონაწილეობის, როგორიცაა ქორწილი, დასაფლავება და მისთ) საჭიროა განსაკუთრებული მიზეზების გამო. განსაკუთრებულ გამონაკლის შემთხვევებში (მაგ. ხანგრძლივად კლინიკაში ყოფნისას) შესაძლებელია თანხმობა 20 დღეზე მეტი ვადით გაიცეს.

ყურადღება: **შემდეგი წესები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ იღებთ LAF-დახმარებას**:

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ შეიტანთ განაცხადს სამ დღეზე მეტი ხნით თავშესაფრის დატოვებისას ადგილის შენარჩუნების შესახებ, აცნობეთ ამის შესახებ თავშესაფრის ხელმძღვანელობას. LAF-ს ყველა თავშესაფრისათვის გაგზავნილი აქვს შაბლონი (იხილეთ დანართი 2), რომლითაც თქვენი განცხადება მეილით გადაეგზავნება LAF-ს. **გთხოვთ, შაბლონს თავად ნუ გადაუგზავნით LAF-ს, არამედ სთხოვეთ ის თავშესაფრის ხელმძღვანელობას, რომ ხანგრძლივი არ ყოფნის გადაწყვეტილება აღნიშნული შაბლონით გადაუგზავნოს LAF-ს**.

(მითითება: იმ შემთხვევაში, თუკი **თქვენ LAF-ის თანხმობის გარეშე** ხანგრძლივად დარჩებით თავშესაფრის გარეთ, თქვენი უკან დაბრუნებისას ვერ იქნება გარანტირებული, რომ თქვენ თავშესაფარში დაუბრუნდებით ძველ ოთახს. შესაძლებელია, თქვენ ამის შემდეგ მიიღოთ ადგილი სხვა თავშესაფარში.)

პირებისათვის, რომლებიც დახმარებას იღებენ სოციალური სამსახურიდან ან დასაქმების ცენტრიდან, არ არის გარკვეული, ნებადართულია თუ არა ადგილზე ხანგრძლივად არ ყოფნა. ხანგრძლივად არ ყოფნამდე

უმჯობესია ინფორმაცია მიაწოდოთ დახმარების გამწევს, რათა გაარკვიოთ დახმარებასთან დაკავშირებული საკითხები და გააკეთოთ შესაბამისი განცხადება.

რა მოუვა თქვენს ნივთებს, როდესაც თქვენ საცხოვრებელში აღარ იცხოვრებთ?

თავშესაფრიდან გასვლისას სრულად უნდა იქნას უკან დაბრუნებული თავშესაფრის ნივთები - მაშასადამე ის ნივთები, რომლებიც მოსახლეს არ მოუტანია. იმ შემთხვევაში, თუ მოსახლე დატოვებს ნივთებს, ივარაუდება, რომ ეს ნივთები შეიძლება გადაიყაროს. ეს შეიძლება განხორციელდეს მაცხოვრებლების ხარჯზე.

იმ შემთხვევაში, თუკი თავშესაფარი მოკლე ხნით შიდა აკრძალვის გამო უნდა იქნას დატოვებული, მაშინ უზრუნველყოფილია ის, რომ თქვენ მოგეცეთ შესაძლებლობა, დაიბრუნოთ **თქვენი კუთვნილი ნივთები, მაშასადამე აღნიშნულ საგნებზე თქვენ გინარჩუნდებათ საკუთრების უფლება.**

იმ შემთხვევაში, თუკი დატოვებული იქნება ფასიანი ნივთები ან დოკუმენტები, ამ ნივთებს შეინახავს მფლობელი, თუკი მესაკუთრე მიუწვდომელია. ნაპოვნ ნივთებთან დაკავშირებული კანონის მოთხოვნები (§§ 965ff. BGB) ხელშეუხებელი რჩება. მეპატრონე ექვსი თვის განმავლობაში ინახავს ნივთებს.

დასაშვებია თუ არა საცხოვრებელში ვიდეო კონტროლი?

თქვენი ოთახის და საერთო სარგებლობის ფართების, სამზარეულო, აბაზანები, კიბეები, ლიფტები, დერეფნები ვიდეოკონტროლი აკრძალულია. ვიდეოკონტროლი ნებადართულია **მხოლოდ საერთო შესასვლელში თავშესაფრის წინ**. ის გამოყენებული უნდა იქნას თავშესაფრის წესების დაცვის კონტროლისა და სისხლის სამართლის დანაშაულების დევნისათვის.

ჩანაწერები დაუყოვნებლივ უნდა წაიშალოს, როგორც კი ცხადი იქნება, რომ ისინი აღარ არის საჭირო. როგორც წესი, ეს უნდა მოხდეს არაუგვიანეს მომდევნო 24-48 საათის განმავლობაში. თავშესაფრის მფლობელმა ვიდეოკონტროლის შესახებ უნდა მიაწოდოს ინფორმაცია -მაგალითად ინფორმაციის გამოკვრით -, თუ ვინ ახორციელებს ვიდეოკონტროლს, როდის წაიშლება ჩაწერილი მონაცემები და გასაჩივრების რა შესაძლებლობები არსებობს. თქვენ უფლება გაქვთ, ნებისმიერ დროს მიიღოთ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

რა უნდა გააკეთოთ თავშესაფარში ცხოვრების აკრძალვის შემთხვევაში?

შინაგანაწესის დარღვევის შემთხვევაში თავშესაფრის ხელმძღვანელობამ თქვენ შეიძლება მოგცეთ გაფრთხილება. გაფრთხილება თქვენ **წერილობითი ფორმით შესაბამისი დასაბუთებით**უნდა გადმოგეცეთ. მესამე გაფრთხილების შემდეგ შესაძლებელია გამოცემული იქნას თავშესაფარში ცხოვრების აკრძალვა. თავშესაფარში ცხოვრების აკრძალვა დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით. აკრძალვა მოქმედებს **სამი თვით** და ვრცელდება მხოლოდ კონკრეტულ თავშესაფარზე. თავშესაფარში ცხოვრების აკრძალვა შესაძლებელია გასცეს მხოლოდ თავშესაფრის ხელმძღვანელობამ.

ვადიანი თავშესაფარში ცხოვრების აკრძალვის გასვლისას არ იგულისხმება, რომ თქვენ ადგილს ავტომატურად დაიბრუნებთ თავშესაფარში. თუმცა თქვენ შეგიძლიათ კვლავ დაბრუნდეთ თავშესაფარში.

მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და მძიმე დარღვევებისას, მაგ. მობინადრეთა მიმართ ძალადობისას, შესაძლებელია გაცემული იქნას (დაუყოვნებლივი) თავშესაფარში ცხოვრების აკრძალვა, შესაძლებელია უსაფრთხოების სამსახურის მიერ. წერილობითი გადაწყვეტილება თქვენ შეიძლება იხილოთ თავშესაფრის შესასვლელში. იხილეთ შინაგანაწესში, თუ რა შემთხვევებში შეიძლება გამოიცეს თავშესაფარში ცხოვრების აკრძალვა (შდრ. LAF-თავშესაფრების შინაგანაწესი § 11).

თუკი თქვენ ფიქრობთ, რომ გაფრთხილება ან საცხოვრებელში ცხოვრების აკრძალვა უსამართლოდ იქნა გაცემული, თქვენ უნდა გაასაჩივროთ აკრძალვა, შეძლებისდაგვარად წერილობითი ფორმით. თავშესაფრის ხელმძღვანელობამ თქვენი პრეტენზია უნდა მიიღოს და რეაგირება მოახდინოს მასზე. თქვენ ასევე შეგიძლიათ დაასახელოთ მოწმე.

თავშესაფარში ცხოვრების აკრძალვის შემთხვევაში თქვენ ასევე მეილით შეგიძლიათ მიმართოთ LAF-ს.
Unterkunft-QS-Beschwerde@LAF.Berlin.de

თქვენ ასევე შეგიძლიათ მიმართოთ BuBS-ს
(იხილეთ თავი 6).

იმ შემთხვევაში, თუკი გამოცემული იქნება თავშესაფარში ცხოვრების **დაუყოვნებლივ აკრძალვა**, საჭიროა მფლობელმა ან შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილმა უწყებამ უზრუნველგყოთ ახალი საცხოვრებლით მაშინაც კი, თუკი აკრძალვა გაცემული იქნება კვირის ბოლოს ან სოციალური სამსახურის/თქვენი დახმარების გამწევი ორგანიზაციის სამუშაო საათების დასრულების შემდეგ. **თავშესაფარში ცხოვრების აკრძალვის გამო დაუშვებელია ვინმე იქცეს უსახლკაროდ თუნდაც ერთი ღამით!**

დისკრიმინაციისაგან დაცვა

არავის აქვს უფლება, მოახდინოს თქვენი დისკრიმინაცია, ჩაგვრა ან თქვენთვის უპირატესობის მინიჭება თქვენი **რელიგიური** ან **პოლიტიკური** შეხედულებების, **წარმომავლობის** ან **ეროვნების**, თქვენი **სქესის** ან თქვენი **სექსუალური ორიენტაციის** გამო. დაუშვებელია ვინმე დაჩაგრული იქნას **ავადმყოფობის**, **შეზღუდული** შესაძლებლობების **ან ასაკის გამო**. თქვენ უფლება გაქვთ, თავისუფლად მისდიოთ თქვენ რელიგიას, თუკი ამით არ არღვევთ რომელიმე კანონს. თქვენ არ გაქვთ უფლება, სხვა მობინადრეები აიძულოთ, რომ იცხოვრონ თქვენი რელიგიური წარმოდგენების მიხედვით. ეს ეხება ყველა ადამიანს, რომელიც საცხოვრებელში მუშაობს და ყველა ადამიანს, რომელიც საცხოვრებელში ცხოვრობს. დისკრიმინაციის შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ თავშესაფრის სოციალურ სამსახურს ან საკონსულტაციო სამსახურს.

თანასწორი მოპყრობის **სამხარეო უწყება დისკრიმინაციისგან** დაცვისათვის შუამდგომლობს შესაბამის საკონსულტაციო სამსახურთან: იხილეთ ინტერნეტი www.berlin.de/sen/lads/beratung/diskriminierung

იმ შემთხვევაში, თუკი თავშესაფრის პერსონალი (მათ შორის უსაფრთხოების სამსახური) მისი მოვალეობის შესრულებისას თქვენს მიმართ დისკრიმინაციულად იქცევა, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ ბერლინის მხარის LADG-ომბუდსმენს: იხილეთ ინტერნეტში:
www.berlin.de/sen/lads/recht/ladg/ombudsstelle/

ინტერნეტთან წვდომა

მფლობელები ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულნი არიან, როგორც მინიმუმ, თავშესაფრის სამყოფ სივრცეებში მოახდინონ **უფასო WLAN უზრუნველყოფა**. LAF-ის მიზანია, რომ უფასო WLAN ხელმისაწვდომი იყოს ყველა ოთახში. იმ შემთხვევაში, თუკი ოთახში არ გაქვთ ინტერნეტზე საკმარისად სტაბილური წვდომა, შეგიძლიათ მიმართოთ BuBS ან საკონსულტაციო სამსახურს. გარდა ამისა მობინადრეთათვის კომპიუტერთან სამუშაო ადგილები განთავსებული უნდა იყოს თავშესაფრის საერთო სარგებლობის სივრცეებში (გარდაGU 3).

თანამონაწილეობა

LAF-თავშესაფრებზზე ვრცელდება შემდეგი წესები: მობინადრეებს უფლება აქვთ, რომ მონაწილეობა მიიღონ თავშესაფარში თანაცხოვრების ფორმირებაში (თანამონაწილეობა). მფლობელი ან თავშესაფრის ხელმძღვანელობა ვალდებულია, **განახორციელოს თქვენი მხარდაჭერა მობინადრეთა საბჭოს** ან მსგავსი კომისიის შექმნისას. ამისათვის მაგალითად საჭიროა სივრცეების გამოყოფა.

თქვენ შეგიძლიათ გახსოვდეთ:

საცხოვრებლის თანამშრომლებს გავლენა არ აქვთ ...

— თქვენს თავშესაფრის მაძიებლობის პროცესზე ან თქვენ ქვეყანაში ყოფნის ნებართვაზე/ თმენაზე

— სოციალური დახმარების ოდენობაზე

— იმაზე, მიიღებთ თუ არა ბინას

— იმაზე, მიიღებთ თუ არა მუშაობის უფლებას.

თანამშრომლებს სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ დაგეხმარონ აღნიშნულ სფეროებში თქვენი უფლებების განხორციელებაში.

საცხოვრებლის თანამშრომლებს უფლება არ აქვთ ...

— გაჩხრიკონ, შევიდნენ და გააკონტროლონ მობინადრეთა პირადი საცხოვრებელი სივრცეები წინასწარი ნებართვის გარეშე ან თუკი არ არსებობს დაყოვნებასთან დაკავშირებული საფრთხე

— გახსნან და წაიკითხონ მობინადრეთა ფოსტა

— სტუმრების ჩანთა გააკონტროლონ, ვიზიტორების შემოსვლა აკრძალონ, თავშესაფარში ცხოვრება აკრძალონ ობიექტური საფრთხის ან დარღვევის არსებობის გარეშე

— ვიდეოკონტროლი დააინსტალირონ კიბის უჯრედებზე, ლიფტში, სამყოფ და საცხოვრებელ სივრცეებში

— პოლიციას ან LEA-ს შეატყობინონ თავშესაფარში თქვენი არ ყოფნის შესახებ და თქვენი ხანგრძლივად არ გასვლის შემთხვევაში თქვენი რეგისტრაციიდან მოხსნა მოახდინონ მოქალაქეთა რეგისტრაციის სამსახურში ან ფოსტაში

— რეგულარულად აკონტროლონ ყოფნა ან არ ყოფნა (თუკი შესაბამისი კონტროლი მფლობელის LAF-თან დადებულ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას არ წარმოადგენს, რომლის მიზანიცაა საცხოვრებლის ხარჯების დაანგარიშება)

— აკრძალოს გაზეთების შეძენა

საცხოვრებლის ხელმძღვანელობამ და თანამშრომლებმა ...

— თქვენს მიერ დატოვებული ფასიანი ნივთები უნდა შეინახონ ექვსი თვის განმავლობაში

— უნდა იზრუნოს იმაზე, რომ დაცული იქნას თქვენი უფლებები თავშესაფარში

— სამედიცინო გადაუდებელ შემთხვევებში გამოიძახოს ექიმი ან სამაშველო მანქანა

— დაგიცვათ თავშესაფარში ძალადობის და დისკრიმინაციისაგან

— მაცხოვრებლებს მისხეს თვითორგანიზებისა და გადაწყვეტილებებში მონაწილეობის საშუალება.

პოლიციას თქვენი ოთახისა და ნივთების გაჩხრეკვის უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე ან კონკრეტული საფრთხის ან სიცოცხლის საფრთხის არსებობისას.

KoordFM: ვერნისაჟი ლტოლვილი ბავშვების ფოტოებით სენატის ადმინისტრაციაში 2019

3.

მინიმალური მოთხოვნები თავშესაფრის მიმართ

LAF-თავშესაფრების მფლობელები ვალდებულნი არიან LAF-თავშესაფრებისთვის **შეასრულონ ხელშეკრულებით** შეთანხმებული **„მომსახურებისა და ხარისხის აღწერა“**. თავშესაფრის სხვა მინიმალური მოთხოვნები გამომდინარეობს ზოგადი ჰიგიენის გეგმიდან და შენობისა და ბინების კონტროლის შესახებ კანონიდან (იხილეთ თავი 7).

თავშესაფრის ტიპისდა მიხედვით (მიმღები ცენტრი, მიმღები ორგანიზაცია, GU 1, GU 2, GU 3) **LAF-თავშესაფრებისთვის** მოქმედებს სხვადასხვა მოთხოვნები, რომლებიც დროთა განმავლობაში იცვლება. მოემულ შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი წესი:

— **მფლობელი** ასუფთავებს შიდა სივრცეებს (არა პირად საცხოვრებელ სივრცეს) ზოგადი ჰიგიენის გეგმის შესაბამისად ანუ მომსახურების და ხარისხის აღწერის შესაბამისად, როგორც წესი, დღეში ერთჯერ (ტიპიGU 3 საერთო საცხოვრებლების შემთხვევაში კვირაში ორჯერ). ზუსტი დროები და სიხშირე შეგიძლიათ იხილოთ დაწესებულების ჰიგიენის გეგმაში.

— ყოველ 5 მობინადრეზე უნდა იყოს მინიმუმ ერთი **ხელსაბანი**(შდრ. ზოგადი ჰიგიენა, გვერდი 5).

— ყოველ 10 მობინადრეზე უნდა იყოს მინიმუმ ერთი **შხაპი** (შდრ. ზოგადი ჰიგიენა, გვერდი 5).

— ყოველ 10 მდედრობით მობინადრეზე და ყოველ 15 მამრობით მობინადრეზე უნდა იყოს მინიმუმ ერთი **WC** (შდრ. ზოგადი ჰიგიენა, გვერდი 5).

— სანიტარული ადგილები უნდა **იკეტებოდეს** და საერთო სააბაზანოები გაყოფილი უნდა იქნას სქესის მიხედვით.

— საერთო სამზარეულოებში ყოველ 8 მობინადრეზე უნდა იყოს მინიმუმ 4 ქურა. გარდა ამისა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელსაბანი და ინდივიდუალური გაცივების შესაძლებლობა (20-დან 30 ლიტრამდე თითო მობინადრეზე) (შდრ. ზოგადი ჰიგიენა, გვერდი 6).

— ოთახები უნდა იკეტებოდეს და თქვენ უნდა მიიღოთ **ოთახის გასაღები**.

— რამდენიმე საწოლიან ოთახში მობინადრეთათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნას **ჩასაკეტი კარადები** (შდრ. ზოგადი ჰიგიენა, გვერდი 5).

— თითო ზრდასრულ **ადამიანზე ხელშეკრულებით რეგულირებული** საცხოვრებელი ფართი **შეადგენს მინიმუმ:**

— ერთ-საწოლიანი ოთახის სიდიდე: 9 მ²

— ორ-საწოლიანი ოთახის სიდიდე: 15 მ²

— სამ-საწოლიანი ოთახის სიდიდე: 21 მ²

— ოთხ-საწოლიანი ოთახის სიდიდე: 27 მ².

— **კვადრატული მეტრი მითითებული უნდა იყოს ყოველი ოთახის ან აპარტამენტის კარზე.**

— თქვენთა ერთად ერთ **სივრცეში არ უნდა ცხოვრობდეს** ოთხ ადამიანზე მეტი (გამონაკლისები დასაშვებია ოჯახებისათვის (შდრ. „ინდივიდუალური საცხოვრებელი სივრცე“ მიმღები დაწესებულებების დახმარების გაწევისა და ხარისხის აღწერაში GU 1 და GU 2 - თვის).

— **ბავშვებისათვის** ხელმისაწვდომ სივრცეებში შტეფსელები უნდა იყოს დაცული.

Hayatuna: აღჭურვილობა შესახლება

— საერთო სარგებლობის სივრცეებთან მისასვლელი დერეფნები უნდა იყოს საკმარისად **განათებული**.

— თავშესაფრის მფლობელთან დადებულ ხელშეკრულებაში ზუსტად განსაზღვრული თანამშრომელთა **რაოდენობა** (თავშესაფრის ხელმძღვანელობა, სოციალური მუშაკი, ბავშვის მომვლელი და ა.შ.) სახეზე უნდა იყოს.

თავშესაფრის ხელმძღვანელობას უფლება აქვს გადაწყვიტოს, რომელ ოთახში იცხოვრებთ და ვისთან ერთად. წყვილები, პარტნიორები და ოჯახები **უნდა განთავსდნენ ერთად**. ერთ სივრცეში ერთ **ოჯახზე** მეტის განთავსება დაუშვებელია. მარტოხელებს არ შეიძლება ჰქონდეს ცალკე ოთახის მიღების პრეტენზია. თუკი არსებობს განსაკუთრებული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზები, შესაძლებელია, რომ თქვენ მოითხოვოთ ცალკე ოთახი (იხილეთ თავი 4). ოთახის დაკავებისას თავშესაფრის ხელმძღვანელობამ უნდა **გაითვალისწინოს თქვენი უსაფრთხოების** მოთხოვნა.

რამდენიმე საწოლიან ოთახში თქვენ უნდა გქონდეთ გარკვეული ინტიმურობის დაცვის შესაძლებლობა. თანამაცხოვრებელთან პრობლემების შემთხვევაში იკითხეთ ოთახის შეცლის შესაძლებლობის შესახებ. თავშესაფრის ხელმძღვანელობამ თქვენ დროულად უნდა გაცნობოთ თქვენს ოთახში ახალი მობინადრის შემოსახლების შესახებ.

როგორ უნდა იყოს აღჭურვილი ოთახები?

ყველა ოთახს თითო მაცხოვრებელზე - ასევე თითო ბავშვზე - უნდა ჰქონდეს საწოლი მატრასით, ბალიში და საბანი. როგორც წესი, სართულებიანი საწოლები დაუშვებელია. საცხოვრებლის ხელმძღვანელობისაგან მაცხოვრებლები მიიღებენ თეთრეულს, პირსახოცებს და საწმენდ აპარატურას. ოთახებში არის (ჩასაკეტი) ტანსაცმლის კარადა, მაგიდა, თითო მობინადრეზე თითო სკამი, საქაღალდე, ასევე მაცივარი, თუკი ის სხვა სივრცეებში არ არის. მოწყობილობები მათი ცვეთის შემთხვევაში შეიცვლება.

გაქვთ თუ არა საკუთარი ავეჯის და ელექტროაპატატურის გამოყენების უფლება?

საცხოვრებლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით თქვენ საცხოვრებელ ოთახში შეგიძლიათ დაამატოთ საკუთარი მოწყობილობები. ამგვარი ნივთების რიცხვს განეკუთვნება მაგ. ავეჯი და ხალიჩები. აღნიშნულთან დაკავშირებით ყურადღება მიაქციეთ შინაგანაწესის § 5 წარმოდგენილ მითითებებს. ხანძრისგან დაცვის გამო საკუთარი გასათბობი და საჭმლის მოსამზადებელი მოწყობილობების გამოყენება საცხოვრებელ სივრცეებში დაუშვებელია. სხვა ელექტრო აპარატურის გამოყენება ნებადართულია მფლობელთან შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ზოგადად გეკრძალებათ საკუთარი ავეჯის და ელექტროაპარატურის გამოყენება, თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ LAF-საჩივრების მენეჯმენტს ან BuBS-ს.

Hayatuna: აღჭურვილობა შესახლება

მიიღებთ თუ არა თქვენი ოთახის გასაღებს?

ყველა მობინადრეს აქვს თავისი ოთახის გასაღები ან ტრანსპონდერი, მათ შორის 12 წლის ასაკიდან ბავშვებს. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ერთ ოთახში ცხოვრობთ რამდენიმე ადამიანთან ერთად, უფლება გაქვთ, გქონდეთ ჩასაკეტი კარადა. მფლობელს გასაღებების/ტრანსპორდერის გადმოცემისათვის არ აქვს გირაოს მოთხოვნის უფლება. თავშესაფრის გასაღების ან ტრანსპორდერის ხელმეორედ დაკარგვის შემთხვევაში შესაძლებელია მობინადრეს მოეთხოვოს წარმოქმნილი ხარჯების დაფარვა.

როგორ უნდა იყოს აღჭურვილი საშხაპეები, აბაზანები და ტუალეტები?

Hayatuna: აღჭურვილობა შესახლება (ზემოთ), საერთო სააბაზანოები (ქვემოთ)

საშხაპეები და ტუალეტები უნდა იკეტებოდეს და ყველა სქესისათვის უნდა იყოს ცალკე. ყოველდღე 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს ცხელი წყალი. სანიტარული სივრცეები და ცალკეული საშხაპეები შესაბამისად დაცული უნდა იყოს მათში შეხედვის შესაძლებლობისგან. საშხაპეებში უნდა იყოს საკმარისი საკიდები და ტანსაცმლის და პირსახოცების დასადები ადგილები. ტუალეტებში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის **ტუალეტის ქაღალდი, საპნის დისპენსერი.** გარდა ამისა ქალის **ჰიგიენის პროდუქტებისათვის უნდა იყოს დახურული სანაგვეები.**

საერთო სარგებლობის სივრცეებისათვის სამომხმარებლო ნივთებს იძენს მფლობელი, მათ შორისაა ტუალეტის ქაღალდი და თხევადი საპონი საპნის დისპენსერების არსებობის შემთხვევაში.

ვისგან მიიღებთ სამზარეულოს აღჭურვილობებს საჭმლის მომზადებისათვის?

მობინადრეები თავშესაფრის ხელმძღვანელობისგან მიიღებენ სამზარეულოს აღჭურვილობებს, რათა შეძლონ საჭმლის მომზადება და გამოკვება. სავალდებულო მინიმალური აღჭურვილობა მოიცავს ჭურჭელს, დანა-ჩანგალს, ქვაბს და ტაფას.

ვის შეუძლია საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება?

ყველა საცხოვრებელში უნდა იყოს საერთო სარგებლობის სივრცეები. აღნიშნული სივრცეები ყველა მცხოვრების თავისუფალ განკარგულებაშია მცხოვრებლების ერთმანეთთან შეხვედრისათვის, სპორტისა და ა.შ. შესაძლებელია ასევე საერთო სარგებლობის სივრცეები გარკვეულ დროებში დარეზერვებული იქნას განსაკუთრებული მიზნებისთვის, მაგ. გერმანული ენის კურსი. ჰკითხეთ საცხოვრებლის ხელმძღვანელობას, თუკი გსურთ საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენება. სამყოფი და განმარტოების სივრცეების გარდა უნდა არსებობდეს ბავშვების და სამეცადინო ოთახები სკოლის მოსწავლეებისათვის.

შესაძლებელია საერთო სარგებლობის სივრცეების გამოყენების შეზღუდვა ინფექციისგან დაცვის მიზეზებიდან გამომდინარე და ეფუძნება სამხარეო სამართლებრივ ნორმებს, რაც ასევე სავალდებულოა ლტოლვილთა თავშესაფრის მფლობელებისთვისაც.

Hayatuna: საერთო სამზარეულო

Hayatuna: საერთო სარგებლობის სივრცე საცხოვრისი

Hayatuna: სარეცხი მანქანების სივრცე

რა წესები ვრცელდება WLAN-მიღებაზე?

„ინტერნეტზე წვდომა“ იხილეთ თავში 9, გვერდი 32.

რა წესები მოქმედებს რეცხვისათვის, წმენდისათვის, ჰიგიენისა და მავნებლებისათვის?

ყველა საცხოვრისში უნდა იყოს სივრცე რეცხვისათვის, შრობისა და ტანსაცმლის დაუთოებისათვის შესაბამისი აღჭურვილობით. სარეცხი მანქანები და საშრობები უნდა იყოს ნებისმიერ დროს თქვენთვის ხელმისაწვდომი (გარდა ღამის საათებისა). თქვენ უფლება გაქვთ, **სარეცხი მანქანით და სარეცხის საშრობით ისარგებლოთ უფასოდ**. თქვენ უნდა გქონდეთ უფლება, სარეცხი იმდენჯერ გარეცხოთ, როგორც საჭიროდ ჩათვლით და ამასთან გამოიყენოთ სასურველი რეცხვის პროგრამა და შესაბამისი სარეცხი საშუალება.

ყურადღება მიაქციეთ დოზირების მითითებას, რათა მიიღოთ რეცხვის ოპტიმალური შედეგი და შეამციროთ გამავალი წყლის რეცხვის ნარჩენებით დატვირთვა.

შინაგანაწესის თანახმად თქვენ თავად ხართ პასუხისმგებელი თქვენი ოთახისა და თქვენს მიერ დაბინძურებული საერთო სარგებლობის სივრცეების (მაგ. სამზარეულოები) დასუფთავებაზე. საერთო სარგებლობის სივრცეების, მათ შორის საერთო სანიტარული სივრცეების და სამზარეულოების, რეგულარული დასუფთავება, რომელიც აპარტამენტის და ბინის მიღმაა, წარმოადგენს **დასუფთავების ფირმის ამოცანას**. დასუფთავება უნდა განხორციელდეს დღეში ერთხელ. მფლობელს არ შეუძლია მოითხოვოს იმ საერთო ტუალეტების და საშხაპეების დასუფთავება, რომლებიც განთავსებულია თქვენი აპარტამენტის /ბინის ფარგლებს გარეთ.

ზოგადი ჰიგიენის გეგმის პირობების თანახმად ხელთ უნდა იყოს სივრცის შესაბამისი საწმენდი აპარატურა.

JUH: BuBS საკონსულტაციო უწყების ჯგუფი, ნოიკიოლნი

იმ შემთხვევაში, თუკი ოთახში შენიშნავთ მწერებს (მაგ. ლოგინის რწყილებს ან ტარაკანებს), ამის შესახებ აუცილებლად დაუყოვნებლივ აცნობეთ თავშესაფრის ხელმძღვანელობას, ვინაიდან მწერების შემოსევის შესახებ უნდა ეცნობოს ჯანდაცვის უწყებას. თქვენ დამატებით შეგიძლიათ მიმართოთ BuBS-ს ან საკონსულტაციო უწყებას. საცხოვრებლის მმართველობა ვალდებულია განახორციელოს მავნებლებთან ეფექტური ბრძოლა. მავნებლების განადგურებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორც წესი, იხდის მფლობელი.

გაქვთ თუ არა ნებისმიერ დროს გათბობის ჩართვის უფლება?

გათბობის პერიოდში 1-ლი ოქტომბრიდან 30 აპრილამდე თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ ჩართოთ გათბობა. თავშესაფრის ხელმძღვანელობამ გათბობის სისტემა ასევე უნდა ჩართოს წლის დანარჩენ დროს, როდესაც გარე ტემპერატურა სამი ერთმანეთის მომდევნო დღეს 21 სთ-ზე 15 გრადუსზე დაბალია. საცხოვრებელ სივრცეებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმუმ 20-23 გრადუსი ტემპერატურა, საძინებელ სივრცეებში ღამით მინიმუმ 18 გრადუსი.

რა მოხდება, თუკი რაიმე გაფუჭდება?

იმ შემთხვევაში, თუკი მაგ. დაზიანდება ქურა, გაიჭედება ტუალეტი, არ იქნება ცხელი ან ცივი წყალი, თავშესაფრის ხელმძღვანელობა იზრუნებს დროულ რემონტზე ან შეცვლაზე. თუმცა სხვადასხვა მიზეზის გამო შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს შეფერხებას. გთხოვთ, თავდაპირველად შეკითხვით მიმართოთ საცხოვრისის ხელმძღვანელობას. იმ შემთხვევაში, თუკი ვერ იქნება ორგანიზებული რემონტი, თქვენ შეგიძლიათ მომართოთ LAF საჩივრების მენეჯმენტს და BuBS-ს.

იმ შემთხვევაში, თუკი რემონტის აუცილებლობა თქვენი ბრალეულობის - ე.ი. აპარატის ან მოწყობილობის განზრახ დაზიანების ან გატეხვის გამო დადგება - თქვენ რემონტის ან შეცვლისათვის არ მოგიწევთ ხარჯების გადახდა.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მიმღებ დაწესებულებებში საკვები?

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ მიმღები დაწესებულების ბენეფიციარი ხართ და საკვებს იღებთ, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ საკმარისი (მინიმუმ 2600 კკალ/დღეში),დაბალანსებული, მრავალფეროვანი და ვიტამინებით მდიდარი საკვები. **გათვალისწინებული უნდა იყოს რელიგიური და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნები**. დღეში მინიმუმ ერთხელ უნდა იყოს თბილი საჭმელი. გარდა ამისა თითო ადამიანზე დღეში მიიღებთ ორ ლიტრ სასმელს. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ დღის განმავლობაში ექიმთან ვიზიტის, უწყებებთან შეხვედრის ან გერმანული ენის კურსის გამო არ იმყოფებით, თქვენ უნდა მიიღოთ**ლანჩ-პაკეტი**, რომლის შიგთავსიც ასევე უნდა იყოს დაბალანსებული და მრავალფეროვანი. თუკი თქვენ ამის გამო შენობა დილით ადრე უნდა დატოვოთ, თქვენ დროულად უნდა მოგეწოდოთ საუზმე. აღნიშნული ასევე ვრცელდება **სკოლის ბავშვებზე**.

მიმართეთ საცხოვრისის ხელმძღვანელობას ან BuBS-ს, თუკი საკვები არ არის საკმარისი, არ შეესაბამება თქვენს მოთხოვნილებებს ან არ არის სათანადო

ბერლინის დამოუკიდებელი საჩივრების უწყების (BuBs) საინფორმაციო ფლაიერები და პოსტერები

4.

თქვენი უფლებები განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევებში

ზოგიერთ ლტოლვილს აქვს დამატებითი საჭიროებები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს საცხოვრისში განთავსებისას, მაგალითად

— ორსულები

— შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები

— მძიმე ფიზიკური ან ფსიქიკური დაავადების მქონე ადამიანები

— ადამიანები, რომელთაც განიცადეს წამება, გაუპატიურება ან ფსიქიკური, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის სხვა მძიმე ფორმები

— ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლები

— მარტოხელა დედები

— მარტოხელა მშობლები

— ოჯახები მცირეწლოვანი ბავშვებით

— ჰომოსექსუალები, ბისექსუალები და ტრანს და ინტერსექსუალები (LSBTI)

— მოხუცები

— წარმომავლობის ქვეყანაში რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები.

KoordFM: აცრასთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია ტემპელჰოფის საცხოვრებელში 2021

დასახელებული დაცვის საჭიროების მქონე პირების **საჭიროებისამებრ დაბინავება ეფუძნება EU-თავშესაფრის მაძიებელთა შესახებ** დირექტივის 21-ე მუხლს (დირექტივა2013/33/EU) და EU-ლტოლვილთა კვალიფიკაციის დირექტივის მუხლი 20 აბზაცი 3 (დირექტივა 2011/95/EU). გარდა ამისა, შესაძლებელია არსებობდეს განსაკუთრებული საჭიროებით გამოწვეული მიზეზები.

განსაკუთრებული საჭიროების შემოწმება შესაძლებელია განპირობებული იყოს, მაგ. ჯანმრთელობის გამო, ცალკე ოთახის ან საკუთარი სამზარეულოთ და აბაზანით **საცხოვრებელი სივრცის** გამოყოფის აუცილებლობით. განსაკუთრებული საჭიროებების შემოწმებისას სხვა ასპექტებს შესაძლებელია მაგ. წარმოადგენდეს: იმ პიროვნებასთან ერთად განთავსება, რომელსაც შეუძლია ავადმყოფობის/უუნარობის შემთხვევაში საჭირო დახმარების გაწევა; სრული კვების ნაცვლად **თვითმომსახურების შესაძლებლობა**, უბარიერო

საცხოვრისი აბაზანით; საცხოვრისი, რომელიც დისკრიმინაციისა და თავდასხმისგან დაცვის შესაძლებლობას იძლება (მაგ. მარტოხელა ქალებისა და LSBTI-თვის), და ა.შ. შესაძლებელია არსებობდეს მიმღები დაწესებულებიდან გაშვებისა და საერთო საცხოვრებელში გადაყვანის შესაძლებლობა საკვების დამოუკიდებლად მომზადებით, თუკი არსებობს შესაბამისი თავისუფალი საცხოვრისი.

განსაკუთრებული საჭიროებების შემთხვევაში მიმართეთ თავშესაფრის პერსონალს ან შესაბამის მომსახურების მომწოდებელთან (LAF, დასაქმების ცენტრი ან სოციალური სამსახური) შეიტანეთ განაცხადი. ამაში შესაძლებელია დაგეხმაროთ თავშესაფრის სოციალური სამსახური ან საკონსულტაციო სამსახურები, მაგ განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე ლტოლვილების **ბერლინის ქსელი (BNS).**



KoordFM: აცრის საინფორმაციო კამპანია LAF-თავშესაფრებში 2021



KoordFM: მაცხოვრებლების გამოკითხვა აცრასთან დაკავშირებით 2021

ტავშესაფარში ლიფტის გამოყენება, როგორც მინიმუმ, შესაძლებელი უნდა იყოს იმ ადამიანებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ კიბით სარგებლობა. მათ რიცხვს განეკუთვნება მოხუცი, მწვავე ან ქრონიკულად დაავადებული ადამიანები, უნარშეზღუდული ადამიანები, ორსულები და ადამიანები მცირეწლოვანი ბავშვებით. მიმართეთ

Hayatuna: ხანძარმაქრი

თავშესაფრის ხელმძღვანელობას ან BuBS-ს, თუკი თქვენ უარს გეუბნებიან ლიფტის გამოყენებაზე ან დაწერეთ განცხადება სხვა თავშესაფარში გადაყვანაზე, თუკი თქვენს თავშესაფარში არ არის ლიფტი ან კიბის გამოყენება შეუძლებლად გეჩვენებათ.

საცხოვრისში რეგულარულად ტარდება **სახანძრო ტრენინგები.** იმ შემთხვევაში, თუკი ჯანმრთელობის მიზეზით ვერ მონაწილეობთ ტრენინგში, თქვენ არ გეკისრებათ ვალდებულება. სოციალური სამსახურისგან მიიღეთ ინფორმაციები ხანძრის შემთხვევაში მოქმედებასთან დაკავშირებით.

KoordFM: აცრის საინფორმაციო კამპანია რაინეკენჰოფის თავშესაფარში 2021kampanyası 2021

5.

ქირა თავშესაფარში?

თავშესაფარში განთავსებისათვის სარგებლობის გადასახადს (ქირას) იხდის თავშესაფრის მფლობელი ორგანიზაცია ან LAF. იმ შემთხვევაში, თუკი თავად არ შეგიძლიათ საცხოვრებლის ხარჯების გადახდა (არ გაქვთ/ ან გაქვთ დაბალი შემოსავალი; არ გაქვთ ქონება/ მცირე ქონებას ფლობთ), შეგიძლიათ განცხადების შეტანა დასაქმების ცენტრში, სოციალურ სამსახურში ან LAF-ში ხარჯების დაფარვასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს დახმარების გაწევის საფუძველი, საცხოვრებლის ხარჯები მთლიანად ან ნაწილობრივ დაიფარება. თუ გაქვთ შეკითხვა, უნდა დაიფაროს თუ არა ან რა ოდენობით უნდა დაიფაროს თქვენი გადასახდელი წილი, ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენ მხარდაჭერას გაგიწევთ თქვენი თავშესაფრის სოციალური სამსახური ან საკონსულტაციო სამსახურები.

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ LAF-თავშესაფარში ცხოვრობთ, ინტეგრაციის, შრომისა და სოციალური დაცვის სენატის ადმინისტრაციის რეგულაციების თანახმად მოქმედებს შემდეგი მაქსიმალური ზღვრები:

— 1 ადამიანისთვის 334 ევრო თვეში

— 2 ადამიანისთვის 590 ევრო თვეში

— 3 ადამიანისთვის 738 ევრო თვეში

— 4 და მეტ სულიანი ოჯახებისათვის 984 ევრო თვეში

— სტუდენტებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის, რომლების იღებენ განათლების შემწეობას (BAB) ან განათლების ხელშეწყობას (BAföG), თვეში 210,00 ევრო. აღნიშნული რეგულაციები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ასევე არ იღებთ არც უმუშევრობის შემწეობას II (Hartz IV) და არც სოციალურ დახმარებას ან სხვა დახმარებას თავშესაფრის მაძიებელთა დახმარების შესახებ კანონის თანახმად.

დამატებითი ინფორმაციები იხილეთ დანართში 3.

აღნიშნული რეგულაცია ამჟამად (მდგომარეობა: აგვისტო 2021) გადაისინჯება ბერლინის სოციალური სამართლის აქტუალური მართლმსაჯულების გათვალისწინებით

იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრებს აქვთ შემოსავალი და ამიტომ თქვენგან მოითხოვენ საცხოვრებლის ხარჯებში თანამონაწილეობას (მაქსიმალური განაკვეთები იხილეთ ზემოთ), თქვენ LAF გამოგიგზავნით შესაბამის ანგარიშს. რა თქმა უნდა შესაძლებელია აღნიშნული ანგარიშის შესაბამისობის შემოწმება.

დამატებით ინფორმაციებს შეგიძლიათ გაეცნო საინფორმაციო ფურცლის დანართში 3.

ამჟამად მოქმედი მეთოდი წარმოადგენს გარდამავალ გადაწყვეტილებას მოსაკრებლების წესდების გამოცემამდე, რომელიც შეთანხმებული იქნება შესაბამის უწყებებს შორის.

რა უნდა მოიმოქმედოთ?

ფულის მოთხოვნის შემთხვევაში თქვენ უნდა მიმართოთ საკონსულტაციო უწყებას ან BuBS-ს. აქ ასევე განიხილება საკითხი, არსებობს თუ არა რაიმე საფუძველი იმისათვის, რომ მოთხოვნა ჩაითვალოს არამართლზომიერად.

KoordFM: სპეციალური დისკუსია ქალთა თავშესაფარში სამეზობლო თავშესაფარი შიონებერგი 2021

6.

საჩივრის შეტანის შესაძლებლობა

თავშესაფარში ყველა ვალდებულია, პატივი სცეს თქვენს უფლებებს. თქვენ შეგიძლიათ იმოქმედოთ თქვენი უფლებების დარღვევის შემთხვევაში. ეს შეეხება ასევე შეურაცხყოფას, მუქარას, ფიზიკურ ძალადობას, დისკრიმინაციას, სექსუალურ შევიწროვებას, თავდასხმას და უპატივცემულო დამოკიდებულებას, გარყვნილებას და ასევე მობინგს.

იმ შემთხვევაში, თუკი ასევე ზარალდება სხვა მობინადრეები, შესაძლებელია მიზანშეწონილი იყოს, შეთანხმდეთ, თუ როგორ დაიცავთ ერთობლივად თქვენს უფლებებს.

თქვენს უფლებებში ჩარევის **დოკუმენტირება** უნდა მოახდინოთ წერილობითი ფორმით ან აუდიო ჩანაწერით.

რა მოხდა, როდის და სად? არსებობს თუ არა მოწმეები? საჭიროების შემთხვევაში გადაიღეთ ფოტო/ვიდეო.

თავშესაფრის ხელმძღვანელობას, უმჯობესია **წერილობით**, მიუთითეთ ყოველი დადგენილი უფლების დარღვევის შესახებ. წერილობითი საჩივრის დაწერისას შესაძლებელია დახმარება გაგიწიონ საკონსულტაციო სამსახურმა, საპატიო მუშაკმა, ასევე BuBS-მა. თუკი დაადგენთ, რომ შესაძლებელია დაირღვეს სხვა მობინადრეთა უფლებები ისე, რომ ეს თავად თქვენ არ შეგეხებათ, ამის თაობაზე უნდა აცნობოთ თავშესაფრის ხელმძღვანელობას, თუკი დაზარალებული პირი ამაზე თანახმაა. თავშესაფრის ხელმძღვანელობასთან გასაუბრებაზე შეიძლება თან გახლდეთ მოწმე. ჩაინიშნეთ საცხოვრებლის ხელმძღვანელობის თანხმობები/ რეაქციები.

ნორმალურ შემთხვევაში **საცხოვრებლის ხელმძღვანელობამ უნდა იზრუნოს დახმარებაზე**. იმ შემთხვევაში, თუკი თავშესაფრის ხელმძღვანელობასთან საჩივრის წარდგენა ვერ დაგეხმარებათ, ან თუკი თავშესაფრის ხელმძღვანელობა თავად არღვევს წესებს, საჩივარი უნდა დაწეროთ საკონსულტაციო სამსახურთან ერთად და უნდა წარადგინოთ შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილ უწყებაში.

ბერლინის ლტოლვილთა საკონსულტაციო **სამსახურების სია შეგიძლიათ იხილოთ აქ**: www.fluechtlingsrat-berlin.de/asylberatunginfoblatt

KoordFM: საჩივრებთან დაკავშირებული მიღება ინტეგრაციის ლოტთან 2019

საჩივრით შეგიძლიათ მიმართოთ:

ბერლინის დამოუკიდებელი საჩივრების მიმღები უწყება - BuBS

მისამართი: დონაუშტრასე 78, 12043 ბერლინი
ნოიკიოლნი ტელეფონი: 030/ 816901 - 2570
ზოგადი კონტაქტი: info@bubs.berlin
კონტაქტი საჩივრებისათვის: beschwerde@bubs.berlin
ÖPNV: მეტროსადგური: კარლ-მარქს-შტრასე ან ავტობუსი გეიგერშტრასე (M41 ჰერმანპლატციდან)
ვებ-გვერდი: www.bubs.berlin

BuBS წარმოადგენს დამოუკიდებელ საკონსულტაციო სამსახურს, რომელიც ბერლინის მასშტაბით იღებს საჩივრებს და ამისამართებს მათ შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილ უწყებებში. თქვენს მშობლიურ ენაზე მოსაუბრე საჩივრების ლოტი ადგილზე მოგაკითხავთ; მიღების საათები გამოიკვრება თქვენს თავშესაფარში. თქვენ ასევე შეგიძლიათ მიმართოთ BuBS ცენტრალურ ოფისს ან თქვენი პრობლემის შესახებ შეატყობინოთ ტელეფონით ან მეილით. მიღების საათები და დამატებითი

ინფორმაციები შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე ან მრავალენოვან ფლაიერებში, რომელიც განთავსებულია თქვენ თავშესაფარში. BuBS-ის კონსულტანტები განახორციელებენ თქვენს მხარდაჭერას გასაჩივრების პროცესში. თქვენ შეგიძლიათ ასევე საჩივარი ჩააბაროთ ანონიმურად. ყველა გასაუბრება კონფიდენციალურია.

LAF-თავშესაფრებში სამეურნეო გაუმართაობასთან დაკავშირებული საჩივარი მეილით გადააგზავნეთ LAF „ხარისხის უზრუნველყოფის“ სამსახურში
Unterkunft-QS-Beschwerde@LAF.Berlin.de
და ასლი გადაუგზავნეთ ბერლინის ლტოლვილტა საბჭოს
buero@fluechtlingsrat-berlin.de
დამატებითი ინფორმაციები იხილეთ LAF-ვებ-გვერდზე:
www.berlin.de/laf/wohnen/informationen-zum-betrieb-von-unterkuenften/qualitaetssicherung

თავშესაფარში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით დამატებით საკონტაქტო პირს წარმოადგენს ოლქების ლტოლვილთა კოორდინატორები (იხილეთLAF-ის სია: www.berlin.de/laf/engagement/dateiablage/bezirkliche-fluechtlingskoordinatoren012020.pdf).

KoordFM: მიღების საათები საჩივრებთან დაკავშირებით ინტეგრაციის ლოტთან 2019

საამშენებლო წინების ან ოთახების ზედმეტად დატვირთვის, ასევე ჰიგიენური პრობლემების და საკვებით მომარაგების **დარღვევების**, შემთხვევაში საჩივრით დამატებით უნდა მიმართოთ **საოლქო უწყების** შესაბამის განყოფილებას ან **ჯანდაცვის** შესაბამის განყოფილებას.

მწვავე საფრთხის არსებობის შემთხვევაში თქვენ უნდა დარეკოთ ნომერზე 110 **პოლიცია**. სისხლის სამართლის დანაშაულების შემთხვევაში უნდა დარეკოთ პოლიციის ტელეფონის ნომერზე 110.

სამედიცინო გადაუდებელ შემთხვევებში დაურეკეთ ექიმს ან გამოიძახეთ სახანძრო სამსახურის სამაშველო მანქანა ნომერზე 112 ან მორიგე ექიმის სამსახური ნომერზე 116 ან 117.

საკითხების გასაჯაროება

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა არის თავისუფალი, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო. კონსტიტუცია ყველა ადამიანს აძლევს უფლებას, თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და ეს ასევე გააკეთოს საჯაროდ, თუკი ის ამით არ არღვევს სხვების უფლებებს. იმ შემთხვევაში, თუკი თავშესაფრის ხელმძღვანელობასთან ან ზემოთ აღნიშნულ ინსტანციებში საჩივარს ვერ მოყვება დამაკმაყოფილებელი შედეგი, თქვენ შეგიძლიათ **მიმართოთ შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილ სენატის ადმინისტრაციას ან დელეგატებს, რომლებიც წარმოადგენენ იმ საარჩევნო ოლქს**, **რომელსაც თქვენი თავშესაფარი განეკუთვნება (დელეგატების სახლი). თქვენს საცხოვრისში აღმოჩენილი საყოფაცხოვრებო შეუსაბამობები შეგიძლიათ გააპროტესტოთ საჯაროდ**. თქვენ ასევე შეგიძლიათ მიმართოთ პეტიციების კომისიას ან დელეგატების კომისიას.

თქვენ შეგიძლიათ მხარდაჭერისათვის მიმართოთ ბერლინში მოქმედ ლტოლვილთა თვით დახმარების ორგანიზაციას ან ინიციატივას.

LAF-ის სპეციალურს კონტროლს ამჟამად ახორციელებს ინტეგრაციის, შრომის და სოციალური საკითხების სენატის ადმინისტრაცია, იხილეთ ინტერნეტში

KoordFM: საპილოტო პროექტის საბჭო საჩივრების დამოუკიდებელი მენეჯმენტი 2018

www.berlin.de/sen/ias. სპეციალური კონტროლის ფარგლებში სენატის ადმინისტრაცია ძირითადად პასუხისმგებელია იმაზე, რომ LAF-ის მიერ ვალდებულებები შესრულდეს სამართლისა და კანონის შესაბამისად. კომპეტენციები შესაძლებელია შეიცვალოს დეპუტატების არჩევის შემდეგ 2021 წლის სექტემბრიდან. მიმართვა ასევე შესაძლებელია ბერლინის დელეგატების სახლში ლტოლვილთა პოლიტიკის ფრაქციების სპიკერებზე. ინფორმაცია მოიპოვეთ მაგ. ბერლინის ლტოლვილთა საბჭოში იმის შესახებ, თუ ვის სჯობს მიმართოთ საჩივრის წერილით.

საცხოვრისში არსებული პრობლემების შესახებ **თქვენ შეგიძლიათ ასევე ესაუბროთ მედიას** . ამ შემთხვევაში არ არის საჭირო თქვენი გვარის დასახელება. კიდევ ერთ შესაძლებლობას წარმოადგენს, **ინფორმირებისა და დემონსტრაციების ორგანიზება.**

ბერლინში არსებობს მრავალი ინიციატივა და ორგანიზაცია, რომელთაც შეგიძლიათ მიმართოთ და სთხოვოთ მხარდაჭერა, პრაქტიკული ინფორმაციის ან მითითებების მოწოდება. ოლქების მიხედვით დანაწილებული ჩამონათვალი იხილეთ ინტერნეტში მისამართზე www.berlin.de/fluechtlinge/berlin-engagiert-sich/berliner-initiativen/.

7.

მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძვლები

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუცია

www.gesetze-im-internet.de/gg/index.html

ბერლინის კონსტიტუცია

www.berlin.de/rbmskzl/regierender-buergermeister/verfassung/

ევროკავშირის მიღების დირექტივა

www.eur-lex.europa.eu

კანონი ქვეყანაში ყოფნის შესახებ

www.gesetze-im-internet.de/aufenthg_2004/

თავშესაფრის შესახებ კანონი

www.gesetze-im-internet.de/asylvfg_1992/

თავშესაფრის მაძიებლების მომსახურების შესახებ კანონი

www.gesetze-im-internet.de/asylblg/

ინფექციებისგან დაცვის კანონი

www.gesetze-im-internet.de/ifsg/

KoordFM: ლტოლვილი ქალები ბავშვთა დღის მოვლის კვალიფიკაციით 2021

ზოგადი ჰიგიენური გეგმა § 36 თანახმად ინფექციებისგან დაცვის კანონი (21.12.2016 მდგომარეობით)

www.fluechtlingsrat-berlin.de/laf_rahmenhygieneplan_ aug2020

ადმინისტრაციული საპროცესო კანონი

www.gesetze-im-internet.de/vwvfg/

კანონი თანასწორი მოპყრობის შესახებ (AGG)

www.gesetze-im-internet.de/agg/

ბინის მეთვალყურეობის შესახებ კანონი ბერლინი

https://gesetze.berlin.de/bsbe/document/jlr-WoAufGBEV4P2

8.

დანართები

დანართი 1: სამეწარმეო კონცეფციების მიმოხილვა/LAF - ის ხარისხისა და მომსახურების აღწერა

მითითება: გარდა ძველი ხელშეკრულებებისა, ისინი, როგორც წესი, იგივეა რაც საცხოვრისის ტიპი GU 1

პარამეტრები	მიმღები დაწესებულება	GU 1	GU 2	GU 3
მფლობელის იდეალურ-ტიპიური გასაღები	**საცხოვრებლის ხელმძღვანელობა**: – 1,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრებელზე 130 ადგილამდე საცხოვრებლით – 1,5 სრული განაკვეთი თითო საცხოვრებელზე 131-500 ადგილამდე – 2,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრებელზე 501-1.000 ადგილამდე – 3,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრებელზე 1.001 ადგილამდე **სოციალური მრჩეველი**: 0,010 სრული განაკვეთი სიმძლავრეზე (მინიმუმ 1 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე) **ფსიქოლოგი**: 0,002 სრული განაკვეთი სიმძლავრეზე. მხარესთან შეთანხმებით შესაძლებელია ფსიქოლოგის ადგილი მესამე პირების გარე მომსახურების ფარგლებში იქნას არჩეული. **სოციალური დამხმარე და ბავშვთა დამხმარე მუშაკი**: 0,015 სრული განაკვეთი სიმძლავრეზე (მინიმუმ 1 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე) **საპატიო კოორდინაცია**: 0,002 სრული განაკვეთი სიმძლავრეზე (მინიმუმ 0,25 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე) **ადმინისტრაციული პერსონალი**: 0,010 სრული განაკვეთი სიმძლავრეზე (მინიმუმ 0,25 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე) **სამეურნეო პერსონალი**: 0,010 სრული განაკვეთი სიმძლავრეზე (მინიმუმ 0,5 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე)	**საცხოვრებლის ხელმძღვანელობა**: – 1,5 სრული განაკვეთი 500 ადგილამდე თავშესაფრებში – 2,0 -დან 1.000 ადგილამდე **სოციალური მრჩეველი**: 0,010 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **ფსიქოლოგი**: 0,002 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **სოციალური დამხმარე და ბავშვთა დამხმარე მუშაკი**: 0,009 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **საპატიო კოორდინაცია**: 0,002 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **ადმინისტრაციის თანამშრომელი**: 0,004 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **სამეურნეო მუშაკი**: 0,002 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **სახლმმართველი**: – 0,5 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 300 ადგილამდე – 1,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 500 ადგილამდე – 2,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 1.200 ადგილამდე	**საცხოვრებლის ხელმძღვანელობა**: – 1,5 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 500 ადგილამდე – 2,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 1.000 ადგილამდე **სოციალური მრჩეველი**: 0,004 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **სოციალური დამხმარე და ბავშვთა დამხმარე მუშაკი**: 0,006 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **საპატიო კოორდინაცია**: 0,002 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **ადმინისტრაციის თანამშრომელი**: 0,004 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **სამეურნეო მუშაკი**: 0,002 სრული განაკვეთი თითო განსახლებულ პირზე **სახლმმართველი**: – 0,5 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 300 ადგილამდე – 1,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 500 ადგილამდე – 2,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 1.200 ადგილამდე	**საცხოვრებლის ხელმძღვანელობა**: 1 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე სოციალური მრჩეველი – 1,0 სრული განაკვეთი 200 მაცხოვრებლამდე – 0,5 სრული განაკვეთი ყოველ დამატებით სიმძლავრეზე 100 პირამდე – სახლმმართველი: – 0,5 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 300 ადგილამდე – 1,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 600 ადგილამდე

პარამეტრები	მიმღები დაწესებულება	GU 1	GU 2	GU 3
მფლობელის იდეალურ-ტიპიური გასაღები	**სახლმმართველი:** – 0,5 ვსრული განაკვეთი – თითო საცხოვრისზე 300 ადგილამდე სიმძლავრით – 1,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 500 ადგილამდე სიმძლავრით – 2,0 სრული განაკვეთი თითო საცხოვრისზე 1.200 ადგილამდე სიმძლავრით			
მეთვალყუ რეობა	ხელმისაწვდომია 24/7	ხელმისაწვდომია 24/7	ხელმისაწვდომია 24/7	არა
საჭმლით მომარაგება	3 საჭმელი დღეში	თვითმომსახურება	თვითმომსახურება	თვითმომსახურება
ოთახის დასუფთავება	ახორციელებს მაცხოვრებელი	ახორციელებს მაცხოვრებელი	ახორციელებს მაცხოვრებელი	ახორციელებს მაცხოვრებელი
საცხოვრისის დასუფთავება	საერთო სარგებლობის ფართების ყოველდღიური დასუფთავება ჰიგიენის გეგმის შესაბამისად მავნებლების რეგულარული კონტროლი შინაგანაწესის, ასევე დოკუმენტაციის, გათვალისწინებით.	საერთო სარგებლობის ფართების ყოველდღიური დასუფთავება ჰიგიენის გეგმის შესაბამისად მავნებლების რეგულარული კონტროლი შინაგანაწესის, ასევე დოკუმენტაციის, გათვალისწინებით.	საერთო სარგებლობის ფართების ყოველდღიური დასუფთავება ჰიგიენის გეგმის შესაბამისად მავნებლების რეგულარული კონტროლი შინაგანაწესის, ასევე დოკუმენტაციის, გათვალისწინებით.	საერთო სარგებლობის სივრცეების დასუფთავება კვირაში ორჯერ
სანიტარული სივრცეების აღჭურვილობა	სამომხმარებლო საქონელი საერთო სარგებლობის სივრცეებისათვის მიეწოდება მფლობელის მიერ.	სამომხმარებლო საქონელი საერთო სარგებლობის სივრცეებისათვის მიეწოდება მფლობელის მიერ.	თვითმომარაგება, აპარტამენტის სტრუქტურაში.	თვითმომარაგება, აპარტამენტის სტრუქტურაში.
საჭმლის მომზადების აღჭურვილობა	სამომხმარებლო საქონელი საერთო სარგებლობის სივრცეებისათვის მიეწოდება მფლობელის მიერ.	სამომხმარებლო საქონელი საერთო სარგებლობის სივრცეებისათვის მიეწოდება მფლობელის მიერ.	თვითმომარაგება, აპარტამენტის სტრუქტურაში.	თვითმომარაგება, აპარტამენტის სტრუქტურაში.
ოთახების აღჭურვილობა	როგორც წესი, სივრცის პირველადი აღჭურვილობა მიეწოდება ბერლინის მხარის მიერ. აღჭურვა ხორციელდება საწოლით, კარადით, მაგიდით, სკამით.	როგორც წესი, სივრცის პირველადი აღჭურვილობა მიეწოდება ბერლინის მხარის მიერ. აღჭურვა ხორციელდება საწოლით, კარადით, მაგიდით, სკამით, ასევე გასაცივებელი საშუალებით.	როგორც წესი, სივრცის პირველადი აღჭურვილობა მიეწოდება ბერლინის მხარის მიერ. აღჭურვა ხორციელდება საწოლით, კარადით, მაგიდით, სკამით, ასევე გასაცივებელი საშუალებით.	როგორც წესი, სივრცის პირველადი აღჭურვილობა მიეწოდება ბერლინის მხარის მიერ. აღჭურვა ხორციელდება საწოლით, კარადით, მაგიდით, სკამით, ასევე გასაცივებელი საშუალებით.

პარამეტრები	მიმღები დაწესებულება	GU 1	GU 2	GU 3
აღჭურვილობა	მფლობელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ახლად შესახლებულმა პირმა ახალი ან სუფთა თეთრეული/პირსახოცები მიიღოს.	მფლობელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ახლად შესახლებულმა პირმა ახალი ან სუფთა თეთრეული/პირსახოცები მიიღოს.	მფლობელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ახლად შესახლებულმა პირმა ახალი ან სუფთა თეთრეული/პირსახოცები მიიღოს.	მფლობელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ახლად შესახლებულმა პირმა ახალი ან სუფთა თეთრეული/პირსახოცები მიიღოს. რეცხვაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ მაცხოვრებლებს.
ჰიგიენის საშუალებები	უზრუნველყოფს მფლობელი.	უნდა შეიძინოს მაცხოვრებელმა.	უნდა შეიძინოს მაცხოვრებელმა.	უნდა შეიძინოს მაცხოვრებელმა.
საკუთარი ავეჯის გამოყენება	არა	საკუთარი დამატებითი (მცირე) საგნები საცხოვრებლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით შესაძლებელია იქნას დამატებული, თუმცა საცხოვრებლის დატოვებისას უნდა იქნას გატანილი.	საკუთარი დამატებითი (მცირე) საგნები საცხოვრებლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით შესაძლებელია იქნას დამატებული, თუმცა საცხოვრებლის დატოვებისას უნდა იქნას გატანილი.	საკუთარი დამატებითი (მცირე) საგნები საცხოვრებლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით შესაძლებელია იქნას დამატებული, თუმცა საცხოვრებლის დატოვებისას უნდა იქნას გატანილი.
ელექტროაპარატურის გამოყენება	შინაგანაწესის მიხედვით შესაძლებელია ზოგიერთი აპარატურის შეტანა. გამოყენება ექვემდებარება სახანძრო დაცვის წესებს.	შინაგანაწესის მიხედვით შესაძლებელია ზოგიერთი აპარატურის შეტანა. გამოყენება ექვემდებარება სახანძრო დაცვის წესებს.	შინაგანაწესის მიხედვით შესაძლებელია ზოგიერთი აპარატურის შეტანა. გამოყენება ექვემდებარება სახანძრო დაცვის წესებს.	შინაგანაწესის მიხედვით შესაძლებელია ზოგიერთი აპარატურის შეტანა. გამოყენება ექვემდებარება სახანძრო დაცვის წესებს.
საერთო სივრცეების გამოყენება	ყველა საერთო სარგებლობის სივრცე განკუთვნილია საყოველთაო სარგებლობისთვის. საერთო სარგებლობის სივრცეები განკუთვნილია შემდეგი მიზნებით სარგებლობისათვის: სათამაშო სივრცე, სამეცადინო სივრცე, სამყოფი სივრცე, გასასვლელი სივრცე. გარდა ამისა, წარმოდგენილი უნდა იყოს საკონსულტაციო სივრცე.	ყველა საერთო სარგებლობის სივრცე განკუთვნილია საყოველთაო სარგებლობისთვის. საერთო სარგებლობის სივრცეები განკუთვნილია შემდეგი მიზნებით სარგებლობისათვის: სათამაშო სივრცე, სამეცადინო სივრცე, სამყოფი სივრცე, გასასვლელი სივრცე. გარდა ამისა, წარმოდგენილი უნდა იყოს საკონსულტაციო სივრცე.	ყველა საერთო სარგებლობის სივრცე განკუთვნილია საყოველთაო სარგებლობისთვის. საერთო სარგებლობის სივრცეები განკუთვნილია შემდეგი მიზნებით სარგებლობისათვის: სათამაშო სივრცე, სამეცადინო სივრცე, სამყოფი სივრცე, გასასვლელი სივრცე. გარდა ამისა, წარმოდგენილი უნდა იყოს საკონსულტაციო სივრცე.	არ არსებობს საერთო სივრცეები თქვენს განკარგულებაშია საკონსულტაციო სივრცეები.
სარეცხის გარეცხვა	უზრუნველყოფილი უნდა იქნას გარეცხვისა და გაშრობის შესაძლებლობა. როგორც წესი, ყოველ 25 მაცხოვრებელზე უნდა იყოს დაახლოებით ერთი სარეცხი მანქანა.	უზრუნველყოფილი უნდა იქნას გარეცხვისა და გაშრობის შესაძლებლობა. როგორც წესი, ყოველ 25 მაცხოვრებელზე უნდა იყოს დაახლოებით ერთი სარეცხი მანქანა.	უზრუნველყოფილი უნდა იქნას გარეცხვისა და გაშრობის შესაძლებლობა. როგორც წესი, ყოველ 25 მაცხოვრებელზე უნდა იყოს დაახლოებით ერთი სარეცხი მანქანა.	უზრუნველყოფილი უნდა იქნას გარეცხვისა და გაშრობის შესაძლებლობა. როგორც წესი, ყოველ 25 მაცხოვრებელზე უნდა იყოს დაახლოებით ერთი სარეცხი მანქანა.

პარამეტრები	მიმღები დაწესებულება	GU 1	GU 2	GU 3
კომპიუტერი	სამუშაო და/ან სამეცადინო სივრცეში მაცხოვრებლებისათვის წარმოდგენილია მყარად დაინსტალირებული დესკტოპ-კომპიუტერები ინტერნეტზე უფასო წვდომით (ყოველ 100 მოსახლეზე მინიმუმ 2 კომპიუტერი). აპარატურის შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს იხდის ბერლინის მხარე.	სამუშაო და/ან სამეცადინო სივრცეში მაცხოვრებლებისათვის წარმოდგენილია მყარად დაინსტალირებული დესკტოპ-კომპიუტერები ინტერნეტზე უფასო წვდომით (ყოველ 100 მოსახლეზე მინიმუმ 2 კომპიუტერი). აპარატურის შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს იხდის ბერლინის მხარე.	სამუშაო და/ან სამეცადინო სივრცეში მაცხოვრებლებისათვის წარმოდგენილია მყარად დაინსტალირებული დესკტოპ-კომპიუტერები ინტერნეტზე უფასო წვდომით (ყოველ 100 მოსახლეზე მინიმუმ 2 კომპიუტერი). აპარატურის შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს იხდის ბერლინის მხარე.	არ არის
გათბობა	გათბობის პერიოდში 1-ლი ოქტომბრიდან 30 აპრილამდე და დამატებით, თუკი სამი ერთმანეთის მომდევნო დღის განმავლობაში გარე ტემპერატურა 21 სთ-ზე 15 გრადუს ცელსიუსზე დაბალია, საჭიროა საცხოვრისის სათანადო გათბობაზე ზრუნვა. გათბობის ხარჯებს იხდის ბერლინის მხარე.	გათბობის პერიოდში 1-ლი ოქტომბრიდან 30 აპრილამდე და დამატებით, თუკი სამი ერთმანეთის მომდევნო დღის განმავლობაში გარე ტემპერატურა 21 სთ-ზე 15 გრადუს ცელსიუსზე დაბალია, საჭიროა საცხოვრისის სათანადო გათბობაზე ზრუნვა. გათბობის ხარჯებს იხდის ბერლინის მხარე.	გათბობის პერიოდში 1-ლი ოქტომბრიდან 30 აპრილამდე და დამატებით, თუკი სამი ერთმანეთის მომდევნო დღის განმავლობაში გარე ტემპერატურა 21 სთ-ზე 15 გრადუს ცელსიუსზე დაბალია, საჭიროა საცხოვრისის სათანადო გათბობაზე ზრუნვა. გათბობის ხარჯებს იხდის ბერლინის მხარე.	გათბობის პერიოდში 1-ლი ოქტომბრიდან 30 აპრილამდე და დამატებით, თუკი სამი ერთმანეთის მომდევნო დღის განმავლობაში გარე ტემპერატურა 21 სთ-ზე 15 გრადუს ცელსიუსზე დაბალია, საჭიროა საცხოვრისის სათანადო გათბობაზე ზრუნვა. გათბობის ხარჯებს იხდის ბერლინის მხარე.
სტუმრები	როგორც წესი დღის განმავლობაში 8-22 სთ, გამონაკლისები მხოლოდ თავშესაფრის ადმინისტრაციასა და LAF-თან შეთანხმებით.	როგორც წესი დღის განმავლობაში 8-22 სთ, გამონაკლისები მხოლოდ თავშესაფრის ადმინისტრაციასა და LAF-თან შეთანხმებით.	როგორც წესი დღის განმავლობაში 8-22 სთ, გამონაკლისები მხოლოდ თავშესაფრის ადმინისტრაციასა და LAF-თან შეთანხმებით.	დიახ
ინტერნეტზე წვდომა	საერთო სარგებლობის სივრცეებში და ინდივიდუალურ საცხოვრებელ სივრცეებში მფლობელის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს WLAN-მიღება.	საერთო სარგებლობის სივრცეებში მფლობელმა უნდა უზრუნველყოს WLAN-მიღება. ბევრ თავშესაფარში ოთახებში ასევე არის WLAN.	საერთო სარგებლობის სივრცეებში მფლობელმა უნდა უზრუნველყოს WLAN-მიღება. ბევრ თავშესაფარში აპარტამენტებში ასევე არის WLAN.	ყველა აპარტამენტს აქვს WLAN წვდომა.

დანართი 2: განაცხადი საცხოვრებელი ადგილის შენარჩუნებასთან დაკავშირებით მისი ხანგრძლივად დატოვების შემთხვევაში (არ ყოფნის განცხადება)

საერთო საცხოვრებელი ..... , ...
ბერლინი

მიმღები: Abwesenheiten@laf.berlin.de

საგანი: ბატონი/ ქალბატონი ..... დაბ, ...

პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო,

ბატონი/ქალბატონი ..... აკეთებს განაცხადს ნებადართულ გასვლასთან დაკავშირებით

.....დან .....მდე, ...

.....

.....

☐ გაცილებით ადრე შეტყობინების გაკეთება შეუძლებელი იყო, რადგან

.....

.....

გთხოვთ, დამიდასტუროთ, რომ ჩემი არ ყოფნის განმავლობაში თავშესაფარში ადგილი იქნება თავისუფალი.

პატივისცემით,

დანართი 3:

LAF-ის თავშესაფრებში საცხოვრებელი ხარჯების საკუთარი წილი

ძვირფასო მკითხველო,
თქვენ ცხოვრობთ ლტოლვილთა საკითხების სამხარეო უწყების თავშესაფარში? თქვენ გაქვთ საკუთარი შემოსავალი? თავშესაფარში ცხოვრებისათვის უნდა გადაიხადოთ ქირა, როგორც ამას ბინისთვის გადაიხდიდით იმის შესაბამისად, თუ რამდენია თქვენი შემოსავალი. თქვენ მთლიანად არ უნდა გადაიხადოთ თავშესაფრის ხარჯები: საკუთარი წილი განისაზღვრება თქვენი შემოსავლის ოდენობით და მიზი ზედა ზღვარი განსაზღვრულია. წინამდებარე საინფორმაციო ფურცელით პასუხს გავცემთ საკუთარ წილთან დაკავშირებით ხშირად დასმულ შეკითხვებზე. თქვენ სიტუაციასთან დაკავშირებით დეტალური შეკითხვებით მიმართეთ დასაქმების ცენტრს, სოციალურ სამსახურს ან LAF-ის სპეციალიზირებულ საკონსულტაციო დაწესებულებას.

რა ოდენობისაა ჩემი გადასახდელი წილი?

ვინაიდან ბერლინში საცხოვრისი ძალიან ძვირია, ბერლინის მხარემ გადაწყვიტა, რომ შეზღუდოს მის მიერ გადასახდელი წილის ოდენობა. ეს ნიშნავს: თქვენ არავითარ შემთხვევაში არ იხდით იმაზე მეტ წილს, რაც ქვემოთ მოცემულ თანხებია გამოსახული

— 1 ადამიანისათვის 344,00 ევრო თვეში
— 2 ადამიანისათვის 590,00 ევრო თვეში
— 3 ადამიანისათვის 738,00 ევრო
— თვეში,
— 4 სულიანი და უფრო დიდი ოჯახებისათვის თვეში 984,00 ევრო
— სტუდენტები და პროფესიული სტუდენტები, რომლების იღებენ განათლების შემწეობას (BAB) ან განათლების ხელშეწყობას (BAföG), თვეში 210,00 ევრო. აღნიშნული რეგულაციები მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ ასევე არ იღებთ არც უმუშევრობის შემწეობას II (Hartz IV) და არც სოციალურ დახმარებას ან სხვა დახმარებას თავშესაფრის მაძიებელთა დახმარების შესახებ კანონის თანახმად.

ვალდებული ვარ თუ არა გადავიხადო საკუთარი წილი და როგორ განისაზღვრება ის?

თქვენ არ გაქვთ საყოფაცხოვრებო ხარჯების ნაწილში დახმარების მოთხოვნის საფუძველი
თუკი თქვენი შემოსავალი იმდენად მაღალია, რომ თქვენ არ გაქვთ საყოფაცხოვრებო ხარჯების ნაწილში დახმარების მოთხოვნის საფუძველი, როგორც მაგ. Hartz IV, სოციალური დახმარება ან დახმარება თავშესაფრის მაძიებელთა დახმარების შესახებ კანონის თანახმად, თქვენ თქვენი წილი მთლიანად უნდა გადაიხადოთ (იხილეთ მონაკვეთი „რა ოდენობისაა ჩემი გადასახდელი წილი?“).

თქვენ უნივერსიტეტში სწავლობთ ან ეუფლებით პროფესიას
სტუდენტები და პროფესიული სტუდენტები, რომლების სასწავლო დახმარებას (BAB) ან სასწავლო მხარდაჭერას (BAföG) იღებენ, თვიურად იხდიან ფიქსირებულ წილს 210,00 ევროს ოდენობით. აღნიშნული რეგულირება მოქმედებს, თუკი თქვენ დამატებით არ იღებთ არც უმუშევრის დახმარებას II (Hartz IV) არც სოციალურ დახმარებას ან რაიმე დახმარებას თავშესაფრის მაძიებელთა დახმარების შესახებ კანონის თანახმად. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ იღებთ აღნიშნულ დახმარებას მაშინ მოქმედებს ქვემოთ წარმოდგენილ მონაკვეთში მოცემული რეგულაციები „თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ საყოფაცხოვრებო ხარჯების დამატება“.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ საყოფაცხოვრებო ხარჯების დამატება
თქვენი შემოსავალი დაბალია და შეგიძლიათ მოითხოვოთ უმუშევრის დახმარება II (Hartz IV), დამატებითი სოციალური დახმარება ან დამატებითი დახმარება თავშესაფრის მაძიებელთა დახმარების შესახებ კანონის თანახმად. ასეთ შემთხვევაში თქვენი შემოსავალი დაემატება თქვენს მიერ საყოფაცხოვრებო ხარჯებთან დაკავშირებულ დანამატს და ამგვარად განისაზღვრება თქვენი წილი.

საყოფაცხოვრებო ხარჯებთან დაკავშირებული დახმარება მოიცავს:

1. ყოველდღიური მოხმარების საგნები, როგორიცაა საკვები, ტანსაცმელი, მობილობა, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა და მისთანა (დასაქმების ცენტრის, სოციალური სამსახურის ან LAF-ის გადაწყვეტილებებში შეგიძლიათ იხილოთ **ცნებები ყოველდღიური** საჭიროება ან **ძირითადი დახმარება**).

2. ფული გათბობისა და ქირისათვის (დასაქმების ცენტრის, სოციალური სამსახურის ან LAF-ის გადაწყვეტილებებში შეგიძლიათ იხილოთ **ცნება საცხოვრისის ხარჯები**).

თქვენი წილის გამოანგარიშებისას თქვენი შემოსავალი - გამოქვითვის შემდეგ - თავდაპირველად დაემატება ყოველდღიურ საჭიროებებს/ძირითად დახმარებას.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თქვენი შემოსავალი იმდენია, რომ ის აღემატება ყოველდღიურ საჭიროებებს/ძირითად დახმარებას, ის დაემატება თავშესაფრის ხარჯებს. ასეთ შემთხვევაში თქვენ თავად უნდა გადაიხადოთ საცხოვრებლის ხარჯები (თქვენი წილი). დანარჩენ ხარჯებს იხდის დახმარების გამწევი უწყება, მაშასადამე დასაქმების ცენტი, სოციალური სამსახური ან LAF.

როგორ გავიგებ, თუ რამდენია ჩემი წილი გადასახადი? როგორ უნად გადავიხადო?

დასაქმების ცენტრში, სოციალურ უწყებაში ან LAF-ში თქვენ მიიღებთ განცხადებას **ხარჯების გადახდის შესახებ**. აღნიშნული განცხადებით მომსახურების გამწევი უწყება იღებს ვალდებულებას, გადაიხადოს საცხოვრისის ხარჯების ნაწილი. ხარჯების გადახდის შესახებ განცხადება შემოიფარგლება გარკვეული პერიოდით. ხარჯების გადახდის შესახებ განცხადებაში მითითებულია, თუ რამდენია თქვენი გადასახდელი წილი. გადახდა უნდა განახორციელოთ მხოლოდ მაშინ, როცა მიიღებთ LAF-ის ანგარიშს.

ხარჯების გაწევის განცხადებასთან ერთად თქვენ ჩაგბარდებათ კიდევ ერთი განცხადება. აღნიშნულ განცხადებას ეწოდება **ვალების აღიარება**. ის თქვენ გავალდებულებთ, საცხოვრებლის ხარჯის თქვენი წილი გადაურიცხოთ LAF-ს. გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ვალის აღიარების განცხადებას.

იმ შემთხვევაში, თუკი გყავთ შვილები და თქვენს შვილს თავისი წილის გადახდის ვალდებულება ეკისრება, წარმოდგენილი იქნება კიდევ ერთი განცხადება. აღნიშნულ განცხადებას ეწოდება **დათმობის განცხადება**. გთხოვთ, განცხადებას ხელი მოაწეროთ. ამით თქვენ აცხადებთ თანხმობას, რომ თქვენი შვილის წილი პირდაპირ გამოიქვითოს თქვენი დახმარებიდან და გადაერიცხოს LAF-ს. მაშასადამე თქვენ არაფრის გაკეთება არ გჭირდებათ.

ანგარიშში, რომელსაც თქვენ LAF გამოგიგზავნით, მითითებულია დანიშნულება, თქვენი გადასახდელი წილი და თვე, რომლის განმავლობაშიც თქვენ LAF-თავშესაფარში ცხოვრობდით. გთხოვთ, თქვენი წილი თანხა გადაიხადოთ ანგარიშის მიღებიდან არაუგვიანეს 14 დღისა. გთხოვთ, მიუთითოთ დანიშნულება.

ყურადღება: იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ არ გადაიხდით თქვენ წილს, წარმოიშვება დავალიანება. უარეს შემთხვევაში ამან შესაძლებელია განაპირობოს ის, რომ თქვენ დაკარგავთ თავშესაფარში ადგილს.

ყურადღება: იმ შემთხვევაში, თუკი ხარჯების თანაგადახდის დოკუმენტის გამოცემის შემდეგ თქვენი შემოსავალი შეიცვლება, შესაძლებელია შეიცვალოს თქვენი გადასახდელი წილიც. თქვენ ვალდებული ხართ, შემოსავლის ყოველი ცვლილების შესახებ აცნობოთ დასაქმების ცენტს ან სოციალურ სამსახურს ან LAF-ს.

რაზეა დამოკიდებული საკუთარი წილის ოდენობა?

საკუთარი წილის დაანგარიშებისას როლს თამაშობს შემდეგი პუნქტები:

— თქვენი შემოსავლის ოდენობა.

— თქვენი დახმარების მოთხოვნა: ჩვეულებრივ Hartz IV-ის შემთხვევაში, სოციალური დახმარება და სხვა დახმარება თავშესაფრის მაძიებლების დახმარების შესახებ კანონის თანახმად გაცილებით მაღალია ვიდრე ძირითადი დახმარება თავშესაფრის მაძიებლების დახმარების შესახებ კანონის თანახმად.

— თქვენი თავისუფალი თანხა: თავისუფალი თანხა სხვადასხვა ოდენობისაა, იმისდა მიხედვით, რომელ დახმარებებს იღებთ (მაგ. Hartz IV, დახმარებები თავშესაფრის მაძიებლების დახმარების შესახებ კანონის თანახმად).

— თქვენი საცხოვრისის ხარჯები, მაშასადამე ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საცხოვრისის ექსპლოატაციასთან. თანხა მითითებულია თითოეულ დღეზე; დასაქმების ცენტრის, სოციალური სამსახურის ან LAF საჩივრები შეგიძლიათ მოიძიოთ ცნებაში ხარჯების განაკვეთი.

— იმ პირების რაოდენობა, რომლებისთვისაც მოხდება საკუთარი წილის დარიცხვა (თუკი თქვენ იმყოფებით ოჯახთან ერთად).

მითითება: თქვენი თავისუფალი შენატანითა და საკუთარი წილის შემოფარგვლით თქვენი შემოსავალი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიყენოთ მთლიანად საცხოვრისის საფასურის გადახდისათვის. თუკი თქვენი შემოსავალი დაბალია, შესაძლებელია, რომ თქვენ არ გადაიხადოთ თქვენი წილი.

თქვენი ინდივიდუალური წილის დაანგარიშებასთან დაკავშირებული შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ შესაბამისი კომპეტენციით აღჭურვილ სამუშაო ცენტრს, სოციალურ სამსახურს ან LAF ან სპეციალიზირებულ საკონსულტაციო ორგანიზაციას.

9.

შემოკლებების ასია

AE	მიმღები დაწესებულება
AG	სამუშაო ჯგუფი
AGG	ზოგადი თანასწორი მოპყრობის შესახებ კანონი
აქტუალური მდგომარეობა	ჩამოსვლის ცენტრი
ASH	Alice Salomon უმაღლესი სკოლა
BAMF	მიგრაციისა და ლტოლვილთა ფედერალური სამინისტრო
BAB	პროფესიული განათლების დახმარება
BAfög	განათლების ხელშეწყობის ფედერალური კანონი
BNS	განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე ლტოლვილების ბერლინის ქსელი
BGB	სამოქალაქო კანონმდებლობა
BuBS	ბერლინის დამოუკიდებელი საჩივრების უწყება
საჭ.	ან, ანუ
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
და სხვ.	et cetera
EU	ევროკავშირი
EUMF	ყოფილი მცირეწლოვანი ლტოლვილები თანმხლების გარეშე
f.	მომდევნო
ff.	შემდგომი
საჭ.	საჭიროების შემთხვევაში
GU	საერთო საცხოვრისი
Hayatuna	ჰაინერსდორფის მომავლის სახელოსნოს პროექტი - ბერლინ-ჰაინერდორფის სამოქალაქო კავშირი e.V.
Hartz IV	უმუშევართა დახმარება II როგორც სამუშაოს მაძიებელთა ძირითადი შემწეობა, რომელსაც იხდის იდასაქმების ცენტრი
IB	შპს საერთაშორისო კავშირი ბერლინ-ბრანდენბურგი
JUH	იოჰანიტერ-უბედური შემთხვევები-დახმარება e.V.

Kita	დღის საბავშვო ბაღი
KoordFM	ბერლინის ინტეგრაციის, შრომისა და სოციალური საკითხების სენატის ადმინისტრაციის ლტოლვილთა მენეჯმენტის საკოორდინაციო უწყება
LAF	ბერლინის ლტოლვილთა საკითხების სამხარეო უწყება
LAGeSo	ბერლინის ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების სამხარეო უწყება
LEA	მიგრანტთა სა უცხოელთა სამხარეო უწყება
LfG-B	ბერლინში ლტოლვილთა განსახლების სამხარეო სამსახური
LSBTI	ლესბოსური, ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ტრანსსექსუალი და ინტერსექსუალი ადამიანები
MUF	მოდულარული საცხოვრისი ლტოლვილებისათვის/ ახალმშენებლობა (ვერსია 1.0 და 2.0)
და მისთ.	და მისთანა
ÖPNV	ბერლინის საზოგადოებრივი ტრანსპორტი
PDF	Portable Document Format (სტანდარტული ფორმატი ეკრანისა და ამობეჭდვისათვის)
QM	ხარისხის მენეჯმენტი
RL	სახელმძღვანელო
გვ.	გვერდი
SenIAS	ბერლინის ინტეგრაციის, შრომისა და სოციალური საკითხების სენატის ადმინისტრაცია
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
StGB	სისხლის სამართლის კანონი
StPO	სისხლის სამართლის საპროცესო კანონი
და სხვ.	და სხვა
და ა□შ.	და ასე შემდეგ
შდრ.	შეადარეთ
WfF	ბინები ლტოლვილებისათვის (საცხოვრებელი ფართი ლტოლვილებისათვის ბერლინის მხარის საბინაო ფირმასთან კოოპერაციის ფარგლებში)
WLAN	Wireless Local Area Network (უსადენო ლოკალური ქსელი)

Impressum

© 2021

ინტეგრაციის, შრომისა და სოციალური საკითხების სენატის ადმინისტრაცია
(SenIAS) საკოორდინაციო შტაბი ლტოლვილთა მენეჯმენტისათვის (KoordFM)
ორანიენშტრასე 106
10969 ბერლინი

რედაქცია, ლექტორატი
სიბილ შულცი, ინტეგრაციის, შრომისა და სოციალური საკითხების სენატის ადმინისტრაცია/ KoordFM

SATZ, LAYOUT
Braun Grafikdesign Berlin

ფოტოები
SenIAS, KoordFM
ლტოლვილთა საკითხების სამხარეო უწყება
იოჰანიტერ-უბედური შემთხვევები-დახმარება e.V.
შტეგლიც-ცელენდორფის ლტოლვილთა მიმღები ჰაინერდორფის მომავლის
სახელოსნო - ბერლინ-ჰაინერდორფის მოქალაქეთა კავშირი e.V.
სატიტულო გვერდი სამზარეულო: Southworks Creative LTD/photocase.
delსატიტულო გვერდი ბავშვები: davidpereiras/photocase.de